

განსაკუთრებული მადლობა

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალურ სააგენტოსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპული ცენტრის ბონის ოფისს გერმანიაში, საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისათვის, პროექტის „საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში“ წარმატებით განხორციელებისათვის, რითაც სხვა ქვეყნებსა და რეგიონებს მათგან სწავლის შესაძლებლობა მიეცათ.

პროექტის წარმატებით განხორციელება და საბოლოო შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა პროექტის მიმდინარეობისას მათი მუდმივი და ფართო მხარდაჭერის გარეშე. პროექტი დაფინანსდა გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს მიერ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში გარემოს დაცვის სფეროში საკონსულტაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში. პროექტის განხორციელებაზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე შეტანილი ინტელექტუალური წვლილისათვის, ფინანსური დახმარებისა და ექსპერტული რჩევებისათვის, ავტორები მადლობას უხდებიან:

- გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალურ სამინისტროს;
- გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალურ სააგენტოს - UBA (სონია ოტტოს, იოჰან ფ. მოლტმანს, ნანეტ აუსტს);
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპული ცენტრის ბონის ოფისს გერმანიაში; ირინა ბასტენსკაიას, დოროტა იაროსინსკას და ელიზაბეტ პაუნოვიჩს;
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისს: მარიან ივანუშას, რუსუდან კლიმიაშვილს და ნინო მამულაშვილს.

პროექტის განმახორციელებელი ეროვნული გუნდი მადლიერებით მოიხსენიებს საერთაშორისო ექსპერტებს, კერძოდ: ალოჟ გრაბნერს (ქიმიურ ნივთიერებათა ეროვნული ბიურო, სლოვენია), სილვია დაიმს - (უნგრეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქიმიური უსაფრთხოების ეროვნული დირექტორატი) და ჯონათან კრუგერს (საერთაშორისო ექსპერტი) პროექტის განხორციელების პერიოდში გაწეული დიდი თანადგომისათვის.

ავტორები მადლობას უხდებიან პროფ. ამირან გამყრელიძესა და ქალბატონ ირმა ხონელიძეს სასარგებლო შენიშვნებისა და წინადადებებისათვის და პროექტის სრულყოფილად განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ნანა გაბრიაძე
პროექტის ეროვნული კოორდინატორი

აკრონიმები და აბრევიატურები

CSF - სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

CSO - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია

DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

EaP- აღმოსავლეთის პარტნიორობა

EC - ევროკომისია

ENPI - ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი

EU - ევროკავშირი

FAO - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

GEF - გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი

GEL - საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი

GHG - სათბურის აირი

MENRP - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (2013 წლიდან დღემდე და 1996-2003 წლებში). წარსულში ატარებდა შემდეგ სახელს: MEPNR- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (2004-2010 წლები) და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (2011-2012 და 1992-1995 წლები)

NGO - არასამთავრობო ორგანიზაცია

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

POPs - მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები

PRTR - დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრი

REACH - „ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის რეგულაცია

SAICM - ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომა

SEIS - გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების სისტემა

SMC - ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვა

SMEs - მცირე და საშუალო საწარმოები

UBA - გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო

UNECE - გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

UNEP - გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა

UNIDO - გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

USD - ამერიკული დოლარი

WB - მსოფლიო ბანკი

WHO - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

WHO ECEH - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპული ცენტრი

წინასიტყვაობა

გამომდინარე იქიდან, რომ ქიმიურ ნივთიერებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნების ეკონომიკაში და ყოველდღიური ცხოვრების საჭირო კომპონენტია, მათ რაციონალურ მართვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების თავიდან აცილების მიზნით. ქიმიური ნივთიერებების რაციონალურად მართვის მიღწევა შესაძლებელია საშიში ქიმიური ნივთიერებების თანმიმდევრულ და კოორდინირებულ რეგულირებაზე მიმართული ღონისძიებების გატარებით. ეს მოიცავს ყველა (ბუნებრივ და სინთეტურ) ქიმიურ ნივთიერებას მათი სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, გამონვლილვის (ექსტრაქცია), სინთეზირების, სამრეწველო წარმოების, ნარჩენების ტრანსპორტირებისა და უტილიზების ჩათვლით. ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ საიმედო ინფორმაციაზე წვდომას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ქიმიური ნივთიერებების უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე.

ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის სისტემისა და ეროვნული რეესტრების შექმნა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში, მონიტორინგისა და რისკების შეფასების სტრატეგიების შემუშავებაში, ქიმიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის პრევენციაში და ხელს შეუწყობს ეროვნულ დონეზე შესაძლებლობების გაფართოებას.

2003 წლიდან დღემდე საქართველოში გატარებულ ცვლილებებსა და რეფორმებს ფუნდამენტური ხასიათი აქვს. ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ინსტიტუციური სტრუქტურისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებული რეალობა შეიცვალა. კორუფციის წინააღმდეგ გამოცხადებული მასშტაბური ბრძოლის ფონზე, კონტროლისა და ზედამხედველობის ძველი სისტემა უარყოფილ იქნა. 2005-2007 წლებში გატარებული რადიკალური რეფორმის შედეგად მთლიანად გაუქმდა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სისტემა. 2007 წელს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ საქართველოს კანონის კვალდაკვალ, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სანიტარიული კოდექსი. სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციაში შემავალი ზოგიერთი ზედამხედველობის, კონტროლისა და ნებართვის გაცემის ფუნქციები სრულად გაუქმდა, ყოველგვარი ალტერნატიური სტრუქტურის შექმნის გარეშე, და, აქედან გამომდინარე, ეს ფუნქციები არც ახალ კანონმდებლობაში აისახა.

2003 წლის შემდეგ, კანონმდებლობის საყოველთაო ლიბერალიზაციის ფონზე, საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოების, გამოყენებისა და განთავსების მარეგულირებელი კანონებიც ლიბერალური გახდა, რაც უარყოფითად აისახა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებულ ასპექტებზე.

საქართველოში, საშიში ქიმიური ნივთიერებების სფეროში, კანონმდებლობის ლიბერალიზაცია ძალზე მარტივი მიდგომით განხორციელდა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ცალკეული კანონების, მაგალითად, საშიში ნივთიერებების შესახებ კანონის, გაუქმებით გამოიხატა.

2009 წელს საქართველოს „ქიმიური პროფილის“ შემუშავების ფარგლებში ჩატარებული ქიმიური ნივთიერებების მართვის მულტისექტორული შეფასების შედეგად, თვალსაჩინო გახდა ქიმიური ნივთიერებების მართვის მხრივ არსებული ხარვეზები და განისაზღვრა ქიმიურ უსაფრთხოებაზე მიმართული ეროვნული პრიორიტეტები. ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაზიარება დასახელდა.

2013 წლის ივნისში ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირის შორის, რომელიც მოიცავს ქიმიური უსაფრთხოების სფეროში მისაღებ ზომებსაც,

კერძოდ, ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების ჰარმონიზაციას ევროკავშირის მოთხოვნებთან.

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვასთან მიმართებით ჩატარებული ძველი და უახლესი ეროვნული შეფასებები საქართველოს ქიმიური პროფილი (2009), UN ECE - გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (2010), დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის საქართველოს ეროვნული რეესტრი (2010-2012), ანგარიში საშიში ნივთიერებების ინვენტარიზაციის შესახებ (2013)] ცხადყოფს, რომ ეროვნულ დონეზე ძირითად ხარვეზს წარმოადგენს ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა, რაც დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელია ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების (ქბრბ) სტრატეგიის (საქართველოს მთავრობის დადგენილება №164, 14.02.2014) და 2015-2020 წლების ქბრბ სამოქმედო გეგმის თანახმად, *„ქიმიური უსაფრთხოების სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები არსებულ გამოწვევებს შორის პრიორიტეტულად უნდა დასახელდეს“*.

ინფორმაციული ხარვეზებისა და ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირების მხარდასაჭერად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ოფისმა, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის გზით, განახორციელა პროექტი „საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში“, რომელიც დაფინანსდა გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს საკონსულტაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია

დღესდღეობით ქიმიური მრეწველობა ქიმიური ნივთიერებების ფართო არჩევანს სთავაზობს ეკონომიკის ყველა სექტორს. იმ უდიდეს სარგებელთან ერთად, რაც ქიმიურ ნივთიერებებს მოაქვს, გასათვალისწინებელია, რომ მათი უმართებულო გამოყენება შეიძლება გარემოს დაბინძურებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების, კერძოდ, მწვავე მონამვლის; ონკოლოგიური, სასუნთქი გზების, გულ-სისხლძარღვთა და ავტოიმუნური დაავადებების; რეპროდუქციული დარღვევების; თანდაყოლილი ანომალიებისა და სხვა დეფექტების მიზეზი გახდეს.



აღამიანებს ქიმიურ ნივთიერებებთან შეხება უწევთ სამუშაო ადგილზე, სამომხმარებლო პროდუქციის გამოყენებისას, საკვებისა და წყლის მოხმარებისას, ჰაერის ჩასუნთქვისას, ნარჩენებსა და ნიადაგში არსებულ ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტისას და სხვ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად¹, აღამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედი ქიმიური ნივთიერებების სპექტრი ფართო და მზარდია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში ქიმიური პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მსოფლიოში: ძირითადი ქიმიური პროდუქციის მწარმოებელი წამყვანი 30 სახელმწიფოდან 11 ევროპულია, ხოლო ქიმიური პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 533 მილიარდ ევროს შეადგენს. აღნიშნული მოიცავს *საშიშ ნივთიერებებს, როგორცაა მძიმე მეტალები, ზოგიერთი მდგრადი და არამდგრადი ორგანული დამაბინძურებელი, რომელთა ტოქსიკური ზემოქმედება აღამიანზე დადასტურებულია, აგრეთვე, ახალი ტიპის ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთაგან ყველა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია.*

გლობალურად, 2012 წელს ქიმიურ ნივთიერებებთან ექსპოზიციის შედეგად, რომელთა ზემოქმედება ჯანმრთელობაზე დადასტურებულია, 1.3 მილიონი სიცოცხლე და 43 მილიონი ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლები- (DALYs) შეფასდა. ევროპაში ვერცხლისწყლით დაბინძურებით გამოწვეული გარალი წლიურად 5.1 მილიარდ ევროს უტოლდება, ხოლო ქიმიური საფრთხეებით გამოწვეული ბავშვთა ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული დანახარჯები, უფრო მასშტაბური შეფასებით, წლიურად 71 მილიარდ ევროს შეადგენს. უახლესმა კვლევამ ცხადყო, რომ ენდოკრინული სისტემის დაავადებებზე, რომლებიც ქიმიურ ნივთიერებებს (EOCs) მიეწერება, განული დანახარჯი წლიურად 163 მილიარდი ევროა.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოებრიობა ცდილობს მიაღწიოს მდგრად განვითარებას, იმგვარად, რომ დღევანდელი თაობების საჭიროებები დაკმაყოფილდეს მომავალი თაობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამ გადმოსახედიდან, ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება მდგრადი განვითარების არსებითი შემადგენელი ნაწილია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წელს საქართველოში ქვეყნის ქიმიური პროფილის შემუშავების ფარგლებში ჩატარებულმა ქიმიური ნივთიერებების მართვის მულტისექტორულმა შეფასებამ

¹ Fact sheet 5, Chemical Safety http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0014/341132/Fact-Sheet-5-Chemical-Safety.pdf?ua=1

ინფორმაციის შეკრება-გაზიარება საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვის შემაფერხებელ „საცობად“ აღიარა. საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, საქართველოს მიერ 2013 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საინფორმაციო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ოფისმა, საქართველოს შესაბამის საჯარო უწყებებთან თანამშრომლობის გზით, განახორციელა პროექტი „საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაზიარებისათვის საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება“, რომელიც დაფინანსდა გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს საკონსულტაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში 2015 წელს.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, **პროექტის ზოგადი მიზანი იყო** როგორც ინფორმაციის შეგროვება-გაზიარებისათვის საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შექმნა, ისე რეესტრის მოდელის შემუშავება და მისი პრაქტიკულობის გამოცდა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესაბამისად.

პროექტთან დაკავშირებული მოლოდინები მოიცავდა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას, ინფორმაციის შეგროვება-გაზიარებასა და ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ეროვნული პრიორიტეტების იდენტიფიცირებას ინფორმაციის შეკრებასა და საკანონმდებლო ხარვეზებთან მიმართებით; ევროკავშირის წევრ და არაევროპულ სახელმწიფოებში ქიმიური ნივთიერებებისა და მათი ნარევიების რეგისტრაციის/შეტყობინების პრაქტიკის შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავებას; ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრისა და ინფორმაციის შეკრების სისტემის შექმნასთან დაკავშირებულ უპირატესობებსა და გამოწვევებში უკეთ გარკვევას; ინფორმაციის შეკრებას პრიორიტეტული/განსაკუთრებით საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ; ეროვნული რეესტრის მოდელისა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავებას; ეროვნული კანონმდებლობის გასაძლიერებლად წინადადებების შემუშავებას ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ვადების შესაბამისად; მიღებული ცოდნის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებსა და იმ ექსპერტებს შორის, რომელთა ქვეყნები გეგმავენ სახელმწიფო რეესტრის შექმნას ან მუშაობენ ამ საკითხზე.

პროექტის განხორციელებით გამიზნული იყო არაერთი სარგებლის მიღება გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების საყოველთაოდ ჰარმონიზებული სისტემის (GHS) დანერგვა და ევროკავშირის ძირითადი ქიმიური პოლიტიკის (REACH) შესაბამისი სარეგისტრაციო სისტემის შექმნა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ყველა დაინტერესებული მხარისათვის უნდა შემუშავდეს SEIS გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების სისტემა. სისტემის შემადგენელი ნაწილი იქნება რეესტრი. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დანერგვას.

პროექტის საბოლოო შედეგები მოიცავდა: საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დასანერგად, საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაზიარებისა და დაინტერესებული მხარეების საინფორმაციო საჭიროებების სიტუაციურ ანალიზს; საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შესაქმნელად

არსებული პრაქტიკის მიმოხილვას; საშიში ნივთიერებებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაზიარებისათვის არსებული საერთაშორისო მოთხოვნებისა და რეკომენდაციების მიმოხილვას; ეროვნული რეესტრის მოდელისა და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავებას; არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად და ახალი საკანონმდებლო აქტების მოსამზადებლად წინადადებების შემუშავებას.

თავი 2. მეთოდოლოგია

პროექტის განხორციელებას ხელმძღვანელობდა სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

პროექტის წარმატებით განხორციელებისა და დასახული მიზნის მისაღწევად, გატარდა ცალკეული ღონისძიებები, კერძოდ: ექსპერტების ეროვნული გუნდის შექმნა, გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, ექსპერტების მისიებისა და სასწავლო ვიზიტის ორგანიზება, დაინტერესებული მხარეებისათვის კონსულტაციებისა და დისკუსიების ორგანიზება საერთაშორისო ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში. ქვემოთ იხ. პროექტის ფარგლებში ჩატარებული ძირითადი ღონისძიებების შემაჯამებელი მიმოხილვა.

2.1. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი

პროექტი განხორციელდა 2015-2017 წლებში ექსპერტების ეროვნული გუნდის მიერ, გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს (UBA), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპული ცენტრის (WHO ECEH), უნგრეთისა და სლოვენის ექსპერტების მხარდაჭერით. პროექტს კოორდინაცია გაუწიეს ქ-ნ ნანა გაბრიაძემ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და ქ-ნ ირმა გურგულიანმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ეროვნული გუნდი შედგებოდა წამყვანი ეროვნული ექსპერტებისაგან ისეთ სფეროებში, როგორცაა ტოქსიკოლოგია, გარემოს დაცვა, გარემოს ჯანმრთელობა, პროფესიული ჯანდაცვა და სამართალმცოდნეობა. ბ-ნ ალვერდ ჩანქსელიანმა, პროფესორებმა ინგა ღვინერიაშ და ქეთევან აბაშიძემ, ბ-ნ ირაკლი ლეგაშვილმა, ბ-ნ ალექსანდრე ტურძილაძემ, ქ-ნ ხათუნა ჩიკვილაძემ და ბ-ნ მალხაზ ძნელაძემ უდიდესი წვლილი შეიტანეს პროექტის განხორციელებაში, ექსპერტების ეროვნულ გუნდში განევრიანებით. ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში მონიწივე პრაქტიკის მქონე ქვეყნების შესახებ ინფორმაცია უზრუნველყვეს წამყვანმა ექსპერტებმა იტალიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან, სლოვენიიდან და შვედეთიდან.

პროექტის, როგორც საქართველოს ბაზარზე არსებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრებასთან დაკავშირებული საინიციატივო ღონისძიების კომპლექსურობა აღინიშნა როგორც ხელისუფლების, ისე ეროვნული ექსპერტებისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების მიერ. ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ეროვნულ დონეზე ქიმიური უსაფრთხოების სფეროში არსებული ექსპერტული ცოდნის სიმწირე; საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები; ხარვეზები ეროვნულ კანონმდებლობაში, ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ჩათვლით; და ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციაზე განსაკუთრებული აქცენტი.

2.2. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ამოსავალი ინფორმაცია

ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც მიმოხილულ იქნა საქართველოში ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური პროდუქციის სარეგისტრაციო სისტემის შექმნასა და საქართველოს ქიმიური ნივთიერებების რეესტრში შესატანი პრიორიტეტული ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით წინადადებების შესამუშავებლად, შემდეგი სახისაა:

- ევროკავშირის კანონმდებლობა, – „ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის რეგულაცია (REACH, 1907/2006/EC) ; - ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ რეგულაციის (CLP, 1272/2008/EC) და „ბიოციდების შესახებ“ რეგულაციის (528/2012) ჩათვლით;
- სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე და ნებაყოფლობითი საერთაშორისო შეთანხმებები ქიმიური უსაფრთხოების სფეროში; აღნიშნული დოკუმენტების მიმოხილვამ ცხადყო, თუ რა უპირატესობას მოუტანს ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი კონვენციების პრაქტიკულ აღსრულებაზე ანგარიშის წარმდგენ ქვეყანას ეროვნული რეესტრის შექმნა, და, ამასთანავე, უზრუნველყო ინფორმაცია საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ;
- უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთში, რუსეთის ფედერაციაში, სლოვენიაში და შვედეთში რეესტრების შექმნასთან დაკავშირებული გამოცდილება, ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრების ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე; ეროვნული მიდგომები ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური ნარეგების შეტყობინებისადმი/ნოტიფიცირებისადმი; რეესტრების შექმნის ისტორია, საკანონმდებლო ბაზა და დანიშნულება; რეესტრების მასშტაბი; ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა და პასუხისმგებელი პირები; შეკრებილი ინფორმაციის ტიპი და რეესტრის სტრუქტურა; ინფორმაციის მიწოდების ტექნიკური ასპექტები; მონაცემთა ბაზებზე წვდომა, ინფორმაციის გაზიარება და კონფიდენციალობა; ეროვნული რეესტრების შექმნასთან დაკავშირებული გამოწვევები და უპირატესობები.

2.3. პროექტის განხორციელებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა

ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა პროექტის მმართველი მულტისექტორული ჯგუფი. ჯგუფში განევრიანდნენ: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მომხმარებელთა დაცვის ფედერაცია, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, საქართველოს ტოქსიკოლოგიისა და მონამკვლის ცენტრი, შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, სურსათის ეროვნული სააგენტო და პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი.

გაიმართა რამდენიმე შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რამაც უზრუნველყო პროექტის განხორციელებასთან, ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სისტემის შექმნასა და ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაზიარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დისკუსიის ღია ფორმატში წარმართვა. დაწვრილებითი ინფორმაცია აღნიშნული კონსულტაციების შესახებ იხ. ქვემოთ.

2.4. პროექტის განხორციელების ძირითადი ეტაპები

1. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეროვება-გაზიარებისა და ინფორმაციის უზრუნველყოფაზე დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების სიტუაციური ანალიზი საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის დასაწერად

პროექტი დაიწყო საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეროვება-გაზიარებასთან დაკავშირებით არსებული ვითარების შეფასებით, რაც მიზნად ისახავდა ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით არსებული ხარვეზებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების იდენტიფიცირებასა და ეროვნული რეესტრის შესაქმნელად პრიორიტეტების განსაზღვრას. ეროვნული ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებული საინფორმაციო ხარვეზები და მოთხოვნები ინფორმაციის უზრუნველყოფაზე განხილულ და შეჯამებულ იქნა 2015 წლის 29-30 ოქტომბერს, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ჩატარებული პირველი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში.

2. ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება

არსებული გამოცდილების ეროვნულ დონეზე შეფასებისა და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების ეროვნულმა გუნდმა, საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობის გზით, ინდივიდუალური კონსულტაციებისა (ორი საექსპერტო მისია 2016 წლის სექტემბერსა და 2017 წლის მარტში) და ეროვნულ დონეზე შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ორი შეხვედრის - 2016 წლის 22-23 ივნისის სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და 2017 წლის 28-29 მარტის საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა თემაზე „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეროვება-გაზიარების სისტემის შექმნის გზაზე: საქართველოს გამოცდილება“ - ფარგლებში გამართული დისკუსიების მეშვეობით, შეიმუშავა მოდელი და ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის დემოვერსია. გარემოსა და ჯანმრთელობის სექტორებში პროექტის ეროვნული კოორდინატორებისათვის გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს (UBA) მიერ მომზადდა და დაფინანსდა სასწავლო ვიზიტი, რომელიც ემსახურებოდა გერმანიაში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაცვლის პრაქტიკის გაზიარებას.

3. ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შესაქმნელად საჭირო საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება

ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ეროვნულმა ექსპერტებმა, საერთაშორისო, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და დონორი ექსპერტებისაგან დაკომპლექტებულ პროექტის მხარდამჭერ საერთაშორისო გუნდთან კონსულტაციების მეშვეობით, მოამზადეს წინადადება საკანონმდებლო ბაზის შემუშავების თაობაზე.

4. საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შესაქმნელად გადასადგმელი სამომავლო ნაბიჯები

სამომავლო ნაბიჯები (2020 წლამდე) განხილულ იქნა და შეთანხმდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო წარმომადგენლებთან საერთაშორისო შეხვედრის ფარგლებში (2017 წლის 28-29 მარტი, თბილისი, საქართველო).

2.5. პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო და დაინტერესებული მხარეების შეხვედრები

პროექტის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომლებიც სხვადასხვა მიზანს, მეტწილად, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო და ეროვნული გუნდის მიერ მომზადებული წინადადებების განხილვასა და შეთანხმებას ემსახურებოდა.

საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის არსებობის საჭიროება, საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად: სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (2015 წლის 29-30 ოქტომბერი)



სურათი 1. ეროვნული ექსპერტების შეხვედრა დაინტერესებული მხარეების შეხვედრის წინ. (28.10.2015)

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ეს სამუშაო ღონისძიება იყო დაინტერესებული მხარეების პირველი შეხვედრა პროექტის დასაწყებად და საინფორმაციო ხარვეზებისა და ინფორმაციის უზრუნველყოფაზე მოთხოვნების განსახილველად, პროექტის განხორციელებისა და სამომავლო ნაბიჯების მიმართულების განსაზღვრის მიზნით.

სამუშაო შეხვედრის ორგანიზების პროცესში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- პროექტის „საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრებისა და გაზიარებისათვის საკანონმდებლო და ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა“ წარდგენა;

- ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გაცნობა;
- საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებების განსაზღვრა-შეჯამება; და
- ინფორმაციის შეკრება-გაზიარების შემაფერხებელი საკანონმდებლო ხარვეზების მიმოხილვა.



სურათი 2. სამუშაო ჯგუფების მსჯელობა ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან მიმართებით დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით (2015 წლის 29-30 ოქტომბრის სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით)

ექსპერტების შეხვედრა ეროვნულ დონეზე პროექტის მე-3, მე-4 და მე-5 ამოცანის გადასატრელად (2016 წლის 22-23 ივნისი)

ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავებაში ეროვნული ექსპერტების დაკვალიანების მიზნით გაიმართა ექსპერტების საგანგებო შეხვედრა. შეხვედრას დაესწრნენ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი საწარმოების ექსპერტები, ქიმიური ნივთიერებებისა და ბიოციდების იმპორტიორები.

არაფორმალურ გარემოში შეკრების მიზანი იყო პროექტის მიმდინარე სტატუსის განხილვა, არსებული ინფორმაციის განახლება, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგების გაცნობა და სამომავლო ნაბიჯების დასახვა.

შეხვედრის ფარგლებში, ეროვნულ ექსპერტებს შემდგომი განხილვის მიზნით წარედგინათ ეროვნული რეესტრების შექმნის საერთაშორისო პრაქტიკის ამსახველი რეზიუმე.



სურათი 3. 2016 წლის 22-23 ივნისის შეხვედრა არაფორმალურ გარემოში იოჰან ფ.მოლტმანი - UBA, ირინა ბასტენსკაია-WHO

ეროვნული ექსპერტების შეხვედრა 2016 წლის 9 სექტემბერს

აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა არსებული პრაქტიკის ამსახველი ინფორმაციის გასაანალიზებლად და საქართველოსათვის შესაფერისი რეესტრის მოდელის შესარჩევად. შეხვედრას დაესწრნენ ექსპერტების ეროვნული გუნდის წევრები, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები და საბაჟო დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი. მსჯელობის ძირითადი მიზანი იყო შეთანხმების მიღწევა საქართველოს საჭიროებებზე მორგებული რეესტრის მოდელის შესარჩევად და ისეთი რეესტრის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა მონაცემთა სამ ბაზას: ქიმიური ნივთიერებების, საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების და ბიოციდების. საქართველოში ბიოციდებისა და პესტიციდების რეგისტრაციის მხრივ არსებულმა გამოცდილებამ გზა გაუხსნა ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შექმნას.

დაინტერესებული ეროვნული მხარეების სამუშაო შეხვედრა საქართველოს საშიში ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის წარსადგენად და განსახილველად (2016 წლის 31 ოქტომბერი)

მოცემული სამუშაო შეხვედრა ემსახურებოდა საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების ეროვნული რეესტრისათვის შემოთავაზებული მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვას და ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან - საჯარო უწყებები, სამრეწველო სექტორი და სხვა საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები - რეესტრთან დაკავშირებული შინაარსობრივი ასპექტებისა და მოთხოვნების შეთანხმებას, საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით იდენტიფიცირებული მოთხოვნების გათვალისწინებით. შეხვედრას დაესწრო 46 მონაწილე და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს 2 ექსპერტი.

2017 წლის 28-29 მარტის საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების სისტემის შექმნის გზაზე: საქართველოს გამოცდილება“

ეს საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა მომზადდა პროექტის ფარგლებში და მიზნად ისახავდა სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის შექმნის საკითხის ღია მრავალმხრივ განხილვას, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას საქართველოსა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც გააჩნიათ ქიმიური ნივთიერებების რეესტრი. ეროვნულ ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს იმ სახელმწიფოების, კერძოდ, ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, მოლდოვის და უკრაინის წარმომადგენლებმა, რომლებიც გეგმავენ ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო რეესტრის გაუმჯობესებას ან შექმნას.

ეროვნულმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, დაინტერესებულმა მხარეებმა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებიდან და სამრეწველო სფეროს წარმომადგენლებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

- საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნები და რეკომენდაციები;
- მათ ქვეყნებში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების პრაქტიკა;
- საქართველოს მიერ ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის, მისი ორგანიზაციული და საკანონმდებლო სტრუქტურის ეტაპობრივად შექმნა;
- პროექტის მიმდინარეობისას მიღებული ცოდნა;
- სამომავლო ნაბიჯები საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ინფორმაციის მდგრადი გაცვლის უზრუნველსაყოფად.



სურათი 4. საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა, 2017 წლის 28-29 მარტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



სურათი 5. საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა, 2017 წლის 28-29 მარტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



სურათი 6. სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის შექმნის საკითხის ღია მრავალმხრივი განხილვა, ქართულ და უცხოელ ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება



სურათი 7. სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის შექმნის საკითხის ღია მრავალმხრივი განხილვა, ქართველ და უცხოელ ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება

2.6. ქართველი ექსპერტების სასწავლო ვიზიტი გერმანიაში და საერთაშორისო ექსპერტების მისია საქართველოში

გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროექტის ეროვნული კოორდინატორების სასწავლო ვიზიტი გერმანიაში 2016 წლის სექტემბერში. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ქართველი ექსპერტები ესტუმრენ გერმანიის მარეგულირებელ სააგენტოებს - გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს ოფისს დესაუში (Dessau-UBA), ტოქსიკოლოგიისა და პროდუქციის დოკუმენტირების ცენტრებს ბერლინში (Berlin BfR), დორტმუნდში (B.A.U.A., B.A.U.A./BfC-ის მონაცემთა ბაზები, მაგალითად, ECHA) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპული ცენტრის ოფისს ბონში, შესაბამისი საერთაშორისო მონაცემთა ბაზებისა და EU-LIFE-ის ეგიდით შეთავაზებული „ინფორმაციის მიღებაზე მომხმარებლების უფლებების“ განსახილველად. ვიზიტების ფარგლებში ჩატარებულ პრეზენტაციებში ყურადღება გამახვილდა საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების ორგანიზაციულ ასპექტებზე. გაიმართა საინტერესო, საინფორმაციო ხასიათისა და სასარგებლო დისკუსიები. პასუხი გაცა ყველა დასმულ შეკითხვას.




სურათი 8. დესაუ, გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო (UBA)

გერმანიაში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების შეკრება-გაზიარება საკმაოდ დიდ საინფორმაციო სახსრებს მოითხოვს, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. გერმანულ პრაქტიკასთან დაკავშირებით მიღებული ცოდნა გაზიარებულ იქნა ექსპერტების ეროვნული გუნდისათვის. ეს პრაქტიკა მოიცავს მონაცემთა რეესტრების გამოყენებას შემდეგი მიზნებისათვის:

- ქიმიური ნივთიერებების ადამიანის ჯანმრთელობაზე, სხვა ცოცხალ სისტემებსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ადამიანსა და გარემოზე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ვარიანტების იდენტიფიცირება, გარემოში ქიმიური ნივთიერებების არსებობის დონეების ჩათვლით;
- ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- არსებული ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმებისა და ზომების შეფასება;
- საგანგებო შემთხვევებზე, როგორცაა გაჟონვა და მოშხამვები, რეაგირება; და
- ნარჩენების განადგურება და ნარჩენების შესახებ ინფორმაციის შეკრება.

პრევენტივების მეშვეობით პროექტის ეროვნული კოორდინატორები გაეცნენ CLP-ისა და REACH-ის პროცედურებს, დოკუმენტაციას, მონაცემთა შეკრება-გაზიარების, შემდგომი გაანალიზებისა და გამოყენების მეთოდებს, ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო ცენტრების როლს საზოგადოების გათვითცნობიერებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლებაში, რაც ჩვენი სამომავლო თანამშრომლობის საფუძველი იქნება. დორტმუნდში, პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ფედერალური ინსტიტუტის (BAuA) თანამშრომლების მიერ გაზიარებული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ასახავს ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ეტაპობრივი აღსრულების პროცედურას. გარდა ამისა, ქართველ ექსპერტებს გაუზიარეს გამოცდილება იმ დახმარების შესახებ, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო და ე.წ. „საინფორმაციო-საცნობარო ცენტრის“ არსებობის შესახებ, რომელიც უსასყიდლო კონსულტაციებს უწევს მენარმეებს და აცნობს მათ აღნიშნულ მოთხოვნებსა და ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება-გაზიარების მეთოდებს.



სურათი 9. „საინფორმაციო-საცნობარო ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს უსასყიდლო კონსულტაციებს მენარმეებისათვის და მათთვის მოთხოვნების გაცნობას (BAuA, დორტმუნდი).

საერთაშორისო ექსპერტების პირველი მისია (2016 წლის 19-23 სექტემბერი)

დაინტერესებული მხარეების გათვითცნობიერებულობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით პროექტმა დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო სლოვენისა და უნგრეთის საერთაშორისო კონსულტანტებმა მეტად მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს. 2016 წლის 19-23 სექტემბერს და 2017 წლის 13-14 მარტს, ექსპერტების ეროვნულ გუნდთან ერთად იმუშავეს სლოვენის ქიმიური ნივთიერებების ეროვნული ბიუროსა და უნგრეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის საერთაშორისო ექსპერტებმა (ბ-ნი ალოჟ გრაბნერი - სლოვენის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, სლოვენის რესპუბლიკის ქიმიური ნივთიერებების სამსახურის ხელმძღვანელი და ე-ნი სილვია დაიმი - უნგრეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქიმიური უსაფრთხოების ეროვნული დირექტორატი); მისიის ორგანიზებაზე იზრუნა პროექტის საერთაშორისო კოორდინატორმა, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სამინისტროებიდან პროექტის ეროვნული კოორდინატორების თხოვნით; მისიის მიზანი იყო ეროვნული გუნდისათვის დახმარების გაწევა, რეესტრის მოდელირებისათვის ეროვნული შესაძლებლობების გაფართოება და კანონმდებლობის გაძლიერება; მისიის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები განსაზღვრა პროექტის საერთაშორისო კოორდინატორმა, პროექტის მიმდინარეობისა და ეროვნულ შესაძლებლობებში აღმოჩენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე. ეროვნულ ექსპერტებთან დასკვნით სამუშაო შეხვედრაზე (2016 წლის 23 სექტემბერი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი) მომზადდა რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პირველი პროექტი. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები ესტუმრნენ რამდენიმე დაინტერესებულ ორგანიზაციას, მათ შორის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობის გაგრძელების მიზნით.

2017 წლის 13-14 მარტის საექსპერტო მისია ემსახურებოდა ექსპერტების ეროვნული გუნდის დახმარებას შემდგომ ეტაპზე, ეროვნულ კანონმდებლობაში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან მიმართებით აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით წინადადებების მომზადებაში.

ეროვნული კანონმდებლობა საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას წარსულში აღებული ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, როგორცაა ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ რეგულაციის შემუშავება-პრაქტიკული აღსრულება (სავარაუდოდ, 2020-2021 წლებში).

ეროვნული ექსპერტების აზრით, ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციოდ საჭირო საკანონმდებლო ბაზის მოსამზადებლად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, რადგან ის მოიცავს საშიში ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან დაკავშირებულ მუხლებს. პასუხისმგებელმა სამინისტროებმა უნდა ითანამშრომლონ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, საკანონმდებლო ბაზის მომზადების მხრივ წინსვლის უზრუნველსაყოფად.

ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში მოცემული ტერმინოლოგია და განსაზღვრებები, როგორცაა რეგისტრაცია, სანქცირება და შეზღუდვა, განსხვავებულია. ტერმინოლოგიური შესაბამისობის მისაღწევად და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სპეციალური განხილვის ორგანიზება.

საკანონმდებლო ბაზის გარდა, ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შექმნა-შენარჩუნება თანამედროვე ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფისა და სათანადო მომზადების მქონე პერსონალის არსებობას მოითხოვს. ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შემდგომი

ლონისძიებების განხორციელების დაფინანსების პოტენციურ წყაროდ გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს საკონსულტაციო დახმარების პროგრამა და გაეროს გარემოს დაცვის სპეციალური პროგრამა გახდა.

პლენარული დისკუსია გაგრძელდა სამი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, სადაც განიხილეს სამომავლო ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ეროვნული და რეგიონული მასშტაბით ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების ხელშესაწყობად.

საერთაშორისო ექსპერტების მეორე მისია (2017 წლის 13-14 მარტი)

მისიის მთავარი მიზანი იყო ექსპერტების ეროვნული გუნდის დახმარება შემდგომ ეტაპზე, ეროვნულ კანონმდებლობაში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებასთან მიმართებით აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით წინადადებების მომზადებაში. მისიის ფარგლებში გადასაჭრელ ამოცანებს შემდეგი სახე ჰქონდა:

- საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის შესწავლა;
- კანონმდებლობის დახვეწის ასპექტებზე სამსჯელოდ ეროვნული ექსპერტების მიერ მომზადებული წინადადებების შესწავლა;
- დისკუსიების მიმდინარეობისას ექსპერტების ეროვნული გუნდისათვის ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;
- ექსპერტების ეროვნული გუნდის მხარდაჭერა და დახმარება ეროვნულ კანონმდებლობაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად წინადადებების მომზადებაში (ხელმისაწვდომია და იგეგმება შემდგომი დამუშავება).
- მისიის შედეგად განისაზღვრა მონაცემთა ბაზის მასშტაბი და დანიშნულება, ისევე როგორც მისი შინაარსობრივი მხარე, ანუ ბაზაში შესატანი ქიმიური ნივთიერებები და ინფორმაციის მოცულობა.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ზემოხსენებულმა ლონისძიებებმა განაპირობა როგორც პროექტის ნარმატებით განხორციელება, ისე დასახული მიზნების მიღწევა.

თავი 3. პროექტის მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკულად შესრულების მიღწევა



3.1 საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების სიტუაციური ანალიზი:
ძირითადი ხარვეზებისა და საჭიროებების მიმოხილვა - პირველი სიტუაციური ანალიზი ეროვნულ დონეზე

პროექტის ფარგლებში გადადგმული პირველი ნაბიჯი ეხებოდა საქართველოში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების მხრივ არსებული ვითარების ანალიტიკურ მიმოხილვას, შემდეგი მიზნების გათვალისწინებით:

- ინფორმაციის გენერირებასა და გაზიარებასთან მიმართებით სამრეწველო სექტორისადმი/კვლევითი ინსტიტუტებისადმი/არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გაანალიზება;
- საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გენერირება-გაზიარებაში კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამრეწველო სექტორის ჩართულობის ამსახველი პრაქტიკის აღწერა;
- ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც საჭიროა მათ მიერ საკუთარი წვლილის შესატანად ქიმიური ნივთიერებების რაციონალურ მართვაში.

ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციასთან, ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის არსებულ პრაქტიკასთან და ინფორმაციაზე წვდომის პოტენციურ საჭიროებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების სიტუაციური ანალიზი ჩატარდა ოთხ სფეროში:

1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საინფორმაციო ასპექტები; 2. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია; 3. საშიში ქიმიური ნივთიერებების უკანონო გადაადგილების პრევენციასთან დაკავშირებული ინფორმაცია; 4. არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და სამრეწველო სექტორის საინფორმაციო საჭიროებები.

არსებული ვითარების ანალიზი წარმოადგენდა პროექტის განხორციელების პირველ ეტაპს და ის წამყვანმა ეროვნულმა ექსპერტებმა ჩაატარეს. შეფასებისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- ინფორმაციის გენერირებასა და გაზიარებასთან მიმართებით სამრეწველო სექტორისადმი/კვლევითი ინსტიტუტებისადმი/არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები;
- საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გენერირება-გაზიარებაში კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამრეწველო სექტორის ჩართულობის ამსახველი პრაქტიკა;
- ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც საჭიროა მათ მიერ საკუთარი წვლილის შესატანად ქიმიური ნივთიერებების რაციონალურ მართვაში.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული სიტუაციური ანალიზის ძირითადი შედეგები შეჯამებულია ქვემოთ.

საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვაში არსებული ქიმიური ნივთიერებები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განვითარებული არ არის ქიმიური მრეწველობა, ქვეყნის ტერიტორიაზე იწარმოება, გამოიყენება და შემოდის არაერთი სახეობის ქიმიური ნივთიერება, მათ შორის:

- სამრეწველო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებები (სამრეწველო სექტორის მიერ გამოყენებული ქიმიური ნაერთები და ნაბავები), სპილენძის კონცენტრატის, მანგანუმის მადნის, ფერომანგანუმის, სილიკონმანგანუმის, ნედლი ნავთობის, ამონიუმის გვარჯილას, ამონიუმის სულფატის, ნატრიუმის ციანიდისა და აზოტის მჟავის ჩათვლით. საქართველოში ასევე იწარმოება საღებავები და ლაქები, საპონი, სარეცხი ფხვნილები, სახეხი პასტა და ფხვნილები და სხვა;
- პესტიციდები: პესტიციდები საქართველოში არ იწარმოება, თუმცა გასულ წლებში იმპორტირებული პესტიციდების რაოდენობამ, საშუალოდ, 1800-2000 ტონა შეადგინა წლიურად. ქვეყანაში შემოდის სხვადასხვა დანიშნულების პესტიციდები, მათ შორის: ფუნგიციდები, ინსექტიციდები, ჰერბიციდები, როდენტიციდები და სადებინფექციო საშუალებები. ისინი ქიმიური ნივთიერებების სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება, კერძოდ: სპილენძის არაორგანულ ნაერთებს; კარბამატებს, თიო და დითიოკარბამატის მჟავის დერივატებს; ორგანულ ფოსფატებსა და ორგანულ ქლორს; შარდოვანას, გუანიდინის დერივატებს; სინთეტურ პირეტროიდებსა და ანტიკოაგულანტებს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვა ქიმიური ნივთიერებები; რაც შეეხება მინერალურ სასუქებს, ქვეყანა აწარმოებს აზოტოვან სასუქებს (ამონიუმის გვარჯილა), ხოლო კალიუმისა და ფოსფორის სასუქები იმპორტირებულია;
- სხვა სახის ქიმიური საქონელი; საქართველოში შემოდის 106 სახეობის (სასაქონლო კოდი 2707-3824) სხვადასხვა ქიმიური აგენტი (საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს მიკუთვნებული აგენტების ჩათვლით), მათ შორის:
 - სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიური აგენტები (სარეცხი ფხვნილები, წებოები, გამსხნელები, ლაქები და საღებავები);
 - ამფიბოლისა და ქრიზოტილ-აზბესტის შემცველი მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში, მრეწველობაში, ენერგეტიკაში, ქალაქისა და ტექსტილის წარმოებაში, ავიაციასა და მანქანათმშენებლობაში;
 - სადებინფექციო საშუალებები.
 - შიდა ბაზარზე გვხვდება სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებებიც.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები: საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების შესახებ და ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი კონვენციები

2013 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე და განსაზღვრეს ქიმიური ნივთიერებების, გარემოს დაცვის, სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების, პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროებში გასატარებელი ცალკეული ღონისძიებები. შეთანხმების თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას, შესაბამის ვადებში ეტაპობრივად მიუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროპულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო

ინსტრუმენტებს. ზოგიერთი ევროპული დირექტივა მოითხოვს ინფორმაციის შეკრება-გასაჯაროებას. ქიმიური უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ევალუბა „საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგულაციისა (EC) No 689/2008 და „ქიმიური ნივთიერებებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაციის (EC) No 1272/2008 მიღება. საქართველო წარმოადგენს ქიმიური უსაფრთხოების სფეროში რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების, მათ შორის ბაზელის, სტოკჰოლმის, როტერდამისა და მინამატას კონვენციებისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციის ხელმძღვრე მხარეს. ყველა კონვენცია მოითხოვს ანგარიშგებას ეროვნულ დონეზე განხორციელებული მონიტორინგისა და ზედამხედველობის საფუძველზე. ქიმიური ნივთიერებების შესახებ დამატებითი ცოდნის მიღების გარდა, რაც ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას და ევროპული კანონმდებლობის მიღებას, ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ინფორმაციის შეკრება-გაზიარებისათვის სათანადო სისტემის დასაანერგად. ამასთან, საქართველო არის ორჰუსის კონვენციის წევრი სახელმწიფო და კონვენციის დებულებების შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლევა ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა-მიღების შესაძლებლობა. ქიმიური პროდუქციის შესახებ ინფორმაციის შეკრების სისტემის დანერგვა და რეესტრის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონვენციების ფარგლებში ანგარიშგების გაუმჯობესებას.

ემოთქმულიდან გამომდინარე, საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია გადამწყვეტია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვაში, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში.

არსებული პოლიტიკური ვალდებულებები

ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების პროცედურის გასაუმჯობესებლად უკვე არსებობს გარკვეული პოლიტიკური ვალდებულებები. მთავრობის #164/2014 დადგენილების საფუძველზე მიღებულია ეროვნული სტრატეგია „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებულია 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს შორის დასახელებულია ქიმიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრება-გავრცელების პრობლემები; არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და ცვლილებების ინიცირება; ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა; საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ კანონპროექტის მომზადება; საშიში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნა და სისტემატური განახლება; სასმელი წყლის, სურსათისა და გარემოს ქიმიური დაბინძურების მონიტორინგისათვის შესაძლებლობების გაძლიერება; საზოგადოებრივი მზაობის ამაღლება ქიმიური და ბიოლოგიური ინციდენტებისათვის; ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) საფრთხეებთან დაკავშირებით საინფორმაციო რესურსების უზრუნველყოფა საუკეთესო პრაქტიკის საყოველთაოდ დანერგვისა და საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ხარისხის ამაღლების მიზნით; და ვებპორტალის შექმნა. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებისათვის საკანონმდებლო და ორგანიზაციული სტრუქტურის შესამუშავებლად მიღებული ცალკეული ზომები შესაბამისობაშია ეროვნულ პრიორიტეტებთან და ეროვნულ დონეზე დაგეგმილ ღონისძიებებთან.

კანონმდებლობა

დღეისათვის საქართველოს მიერ შემუშავებული კანონმდებლობა მორგებულია ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს. მისი პრაქტიკული აღსრულებისათვის საჭიროა არსებული მოთხოვნების, შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გაანალიზება, რომ განისაზღვროს საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების მხრივ არსებული ხარვეზები და შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები მდგრადი საინფორმაციო სისტემის უზრუნველსაყოფად. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს: კონსტიტუციას, კანონებს „გარემოს დაცვის შესახებ“, საერთაშორისო შეთანხმებებს (კონვენციებს), ადგილობრივი ხელისუფლების რეგულაციებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მთავრობის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებსა და სხვ.

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მართვას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „მცენარეების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, კანონები „ჰაერის დაცვის შესახებ“, „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“, „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“, „საშიში ნივთიერებებით გამონჭვული ზიანის შესახებ“, „ნიადაგების კონსერვაციისა და აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, „დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის შესახებ“, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ და სხვ.

არსებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ეროვნულმა ექსპერტებმა გამოიტანეს შემდეგი სახის დასკვნები:

- განერილია მოთხოვნები ჰაერისა და წყლის ქიმიური დაბინძურების, ნარჩენების მართვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ამსახველი ანგარიშების; ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის, ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი საქმიანობების ლიცენზირებისა და ქიმიური უსაფრთხოების მონაცემების ფურცლების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასთან მიმართებით;
- განერილია მოთხოვნები ქიმიური დაბინძურების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებასთან მიმართებით;
- სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ქიმიური ნივთიერებების წარმოების შესახებ ანგარიშგების ვალდებულება;
- ეროვნული კანონმდებლობა არ ითხოვს ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სისტემის არსებობას;
- არ არსებობს ქიმიური უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლების ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს საბაზისო ინფორმაციას ქიმიური მახასიათებლების შესახებ;
- არ არსებობს იმ საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების ოფიციალური სია, რომელთა ტრანსსასაზღვრო გადაადგილება უნდა იზღუდებოდეს ან იკრძალებოდეს

(2015), (2016 წელს მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილება 263/13/06 „ ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“;

- არსებობს კანონმდებლობის პრაქტიკულ აღსრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზები;
- ინფორმაციის სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის საკითხი მნიშვნელოვანი მსჯელობის საგანია.

მონაცემთა ბაზების შექმნასთან დაკავშირებით არსებული გამოცდილება

არსებული კანონმდებლობის პრაქტიკაში სრულად აღსრულების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ამსახველი ანგარიშები;
- ჰაერისა და წყლების დაბინძურების მონიტორინგის მონაცემები;
- ნარჩენების წარმოშობისა და შემადგენლობის ამსახველი მონაცემები;
- ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი საქმიანობების ლიცენზიების ამსახველი მონაცემები;
- საბაჟო დეკლარაციები;
- ქიმიური უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლები;
- უსაფრთხოების პასპორტები და დეკლარაციები;
- რეგისტრირებული სადებინფექციო საშუალებები;
- რეგისტრირებული პესტიციდები და სხვა აგროქიმიკატები.

მონაცემთა ბაზების შექმნასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ეროვნული გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო რეესტრის შექმნისას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) “პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსის“ და EEC 91/114 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველო აწარმოებს ქვეყანაში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგს, რომელიც ექვემდებარება ყოველწლიურ ცვლილებასა და განვრცობას. კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების განყოფილება.

კატალოგი ხელმისაწვდომია ციფრულ ფორმატშიც: http://nfa.gov.ge/?sec_id=130&lang_id=GEO და მოიცავს: პესტიციდის საჯარო სახელწოდებას, პრეპარატულ ფორმას, მონაცემებს აქტიური ნივთიერებების შესახებ, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერს, გამოყენებისა და დამუშავების სტანდარტს, სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახელებასა და პესტიციდით დამუშავებულ ობიექტს, გამოყენების მეთოდებს, ჰიგიენურ ნორმებს - ადამიანის მიერ დღიური მოხმარების მაქსიმალურ ზღვარს, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას - ნიადაგში, წყალში, სამუშაო გარემოში, ატმოსფეროში და ნარჩენების მაქსიმალურ ზღვრებს სურსათში. კატალოგში წარმოდგენილია მონაცემები 245 აქტიური ნივთიერებისა და 682 პრეპარატული ფორმის შესახებ. http://nfa.gov.ge/?sec_id=130&lang_id=GE

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სადებინფექციო და სადერატიზაციო და სადებინსექციო საშუალებების რეგისტრაციას. რეგისტრირებული პრეპარატების რაოდენობა 530 შეადგენს. მონაცემები გამოქვეყნებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე:

http://ncdc.ge/AttachedFiles/8.01.2016_495d7f8b-c0c0-4623-a1fe-523c7dc83a15.pdf

სამედიცინო სტატისტიკაში მწვავე მონამვლა წარმოდგენილია სხვადასხვა ეტიოლოგიის ტრავმებთან ერთად და განიხილება:

- თერმულ და ქიმიურ დამწვრობებად;
- ნაშლისმიერ, მედიკამენტოზურ და ბიოლოგიური ნივთიერებებით გამოწვეულ მონამვლად, მეტნილად, არასამედიცინო დანიშნულების ტოქსიკური ნივთიერებებისა და სხვა დაუდგენელი გარე ფაქტორების ზემოქმედებად. მონამვლის შემთხვევებთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული ცენტრები აწვდიან დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს; დამუშავების შემდეგ, სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება ვებგვერდზე: <http://ncdc.ge/ka-GE/Statistics>; <http://ncdc.ge/ka-GE/DiseaseStatistics/StatisticalYearbook>.

აღსანიშნავია, რომ ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება ხდება მონიტორინგის სახელმწიფო სისტემების საშუალებით და მოიცავს ატმოსფერულ ჰაერში, მიწისქვეშა და სასმელ წყლებში, ნარჩენებსა და ნიადაგში და საკვებში ქიმიური ნივთიერებების მონიტორინგს.

ინფორმაცია ქიმიური საფრთხეების შესახებ ხელმისაწვდომია ქიმიური უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლების საფუძველზე, რომლებიც მუშავდება სახელმწიფო დონეზე და სახელმწიფო ენაზე. ქვეყნის მასშტაბით ქიმიური უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლების ერთიანი ბაზის შექმნა შესაძლებელია ორგვარად: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონაცემების შეკრებით საწარმოებიდან და პროფესიული მედიცინისა და ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლების მომზადებით, ქიმიური საფრთხეების შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს მიდგომები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და ხელს შეუწყობს ქიმიური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეკრებას. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური ნივთიერებებისაგან/პროდუქციისაგან პერსონალური დაცვის საშუალებების მარეგულირებელი სპეციალური ტექნიკური რეგულაციები, რომელთა უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით, ჯერ კიდევ არ არის მიღებული, შრომის კოდექსის ყველა შესაბამისი მოთხოვნა სავალდებულო იურიდიული ძალის მატარებელია. კანონმდებლობის პრაქტიკული აღსრულება არასრულყოფილია, რადგან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არ არსებობს უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული უწყება (შრომის კოდექსის პრაქტიკულ აღსრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური).

სტატისტიკის ეროვნული სამსახური თავს უყრის როგორც ქიმიური ნივთიერებების იმპორტსა და ექსპორტთან, ისე გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, საჭიროა უფრო ამომწურავი ინფორმაცია ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რომ მისი გამოყენებით შეფასდეს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული რისკები, განხორციელდეს ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული მონამვლის შემთხვევებისა და ქრონიკული დაავადებების მონიტორინგი და დაიგეგმოს რისკების შემცირების ღონისძიებები.

ეროვნული შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საშიში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შესაქმნელად

საქართველოს გააჩნია ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებისათვის საჭირო საბაზისო მონაცემები, რაც შემდგომ სრულყოფასა და გაძლიერებას მოითხოვს.

ჯანდაცვის სექტორი - სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში) გარემოს ჯანმრთელობის სფეროში წამყვანი უწყებას. ქიმიური ნივთიერებების მართვის მხრივ ცენტრს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილება: დაავადებათა მონიტორინგი და სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და საშიში ნივთიერებებით ადამიანის მონამვლის შემთხვევების სათანადო აღრიცხვა-სისტემატიზაცია. გარდა ამისა, გარემოს, საკვებისა და სასმელი წყლის დაბინძურების ამსახველ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცენტრს ევალება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს გაუქმდა სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის შემადგენლობაში არსებული ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების მქონე სტუქტურები ალტერნატიული სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე, საქართველომ შეძლო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის შექმნა.

გარემოს დაცვის სექტორი - ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში წამყვანი კოორდინატორის ფუნქციას ასრულებს საჯარო უწყება - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელიც საქართველოში წარმოადგენს კომპეტენტურ ორგანოს სტოკჰოლმის, ბაზელის, როტერდამის, მინამატას, ორჰუსის, ოზონისა და სხვა კონვენციებთან მიმართებით. სამინისტრო საქართველოს კომპეტენტური ორგანოა ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შემთხვევაშიც. გარდა ამისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კოორდინაციას უწევს მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებას და ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ნარჩენებისა და ქიმიური აგენტების მართვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გამოიხატება ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართულობით. მის კომპეტენციას ასევე განეკუთვნება: ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება, ეროვნულ დონეზე დაგეგმვა, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა, სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი, ეროვნული სტრატეგიული პროექტების მომზადება და სხვ.

კვლევითი სექტორი - ამაჟამად ძირითად კვლევით ინსტიტუტებს, რომლებიც მუშაობენ საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის დაცვა-გენერირებაზე საკუთარი კვლევითი და სამეცნიერო საჭიროებების მიხედვით, წარმოადგენს: სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტი; პროფესიული მედიცინისა და ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი; აგრარული უნივერსიტეტი; ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი; ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი; მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტი; კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი; ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; სამედიცინო პოლიმერების კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი; წყლის მართვის ინსტიტუტი; ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი; ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი; საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.

ზემოხსენებული ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, ბოლო წლებმა დაგვანახა საქართველოში ქიმიური ნივთიერებების სფეროში აკადემიური ინსტიტუტების წარმატებული ჩართულობის არაერთი მაგალითი, კერძოდ, ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქცია და ღონისძიება, სახელშეკრულებო საფუძველზე, კვლევითმა ინსტიტუტებმა განახორციელეს. მაგალითად:

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციის წინაპირობას წარმოადგენს ამ ნივთიერებების (და საექსპერტო შემოწმების შედეგების) ექსპერტიზა. ამ მიზნით ტარდება რამდენიმე სახის საექსპერტო შემოწმება: ბიოლოგიური, ჰიგიენური და ტოქსიკოლოგიური, ეკოლოგიური, იქტიოტოქსიკოლოგიური და ვეტერინარიულ-სანიტარიული (დოკუმენტაციის, ლაბორატორიული და საველე ექსპერტიზა);
- საქმიანობის ისეთი სახეების ეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომლებიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს, შესაბამისი სფეროების დამოუკიდებელი ექსპერტების დაქირავებით, მეტწილად, კვლევითი ინსტიტუტებიდან.

მიმდინარე ღონისძიებები მოიცავს კვლევასა და მონაცემთა შეგროვებაში სხვა სახის ჩართულობასაც:

2015 წლიდან მოყოლებული სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტი ამზადებს ქიმიური უსაფრთხოების ბარათებს ქართულ ენაზე, პროფესიული ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება და, განსაკუთრებით, გაზიარება (მაგალითად, სამეცნიერო კვლევების შედეგები „ონლაინ“ რეჟიმში ხელმეორედომელია), კვლევითი (აკადემიური) მიზნებისათვის სრულყოფილი ხასიათის არ არის, ინფორმაციის გაცვლის სისტემების დანერგვითა და კონკრეტული სამეცნიერო პროფილის მიხედვით საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინტეგრირებულ და/ან სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებზე (მაგალითად, ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სამეცნიერო კვლევისათვის, აღმოჩენის მეთოდები, კვლევებისა და რისკების შეფასების შედეგები, ტოქსიკოლოგიური მონაცემები და სხვ.) წვდომით დაინტერესება და მათ შექმნაში მონაწილეობის საჭიროება საკმაოდ დიდია.

ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის შეკრება-გაზიარებაში, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი უახლესი მაგალითების შემდეგი ჩამონათვალი:

- საქართველოს ქიმიური პროფილი (2009) / არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“;
- პროექტი დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ (2009-2012) / კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია - CENN;
- პროექტი ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის შესახებ (2012-2013) / არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“/“დედამიწის მეგობრები“.

არსებობს ქიმიური ნივთიერებების სფეროში წარმატებული ჩართულობისა და უახლესი თანამშრომლობის ამსახველი მრავალი სხვა მაგალითი, რომლებიც წინამდებარე მიმოხილვაში ნახსენები არ არის. მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები, საკუთარი როლიდან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული ვალდებულებებიდან

გამომდინარე, მოცემული სფეროთი, კონკრეტულად კი, საშიში ნივთიერებების შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნაში წვლილის შეტანითა და მათზე დაშვებით მეტად დაინტერესებული არიან. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებში, ინფორმაციის გასაჯაროებასა და გარემოს შესახებ გადანაცვლებების მიღების პროცესში. მაგალითად, მოქმედი პროცედურების თანახმად, ისეთი პროექტების განმახორციელებლებს, რომლებიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ევალუბათ საჯარო განხილვებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ამსახველი ანგარიშის წინმსწრები საჯარო მოსმენის ჩატარება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ადგილობრივ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე ყურადღების გამახვილებით. აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციას (მათ შორის საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ) ითხოვენ, რომ შეძლონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ამსახველი ანგარიშის თაობაზე სათანადო კომენტარის უზრუნველყოფა და პროექტის განმახორციელებლებისა და გარემოსდაცვითი უწყებებისათვის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების წარდგენა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს ესაჭიროებათ საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინტეგრირებულ და/ან სპეციალიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო ბაზებზე წვდომა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრო ორგანიზაციების თანამონაწილეობა ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო რეესტრის შექმნაში ხელს შეუწყობს მის გამართულ მუშაობასა და პრაქტიკულ გამოყენებადობას, რადგან გათვალისწინებული იქნება კვლევითი და არასამთავრობო სექტორების მოთხოვნები და რეესტრის შექმნაში მათი წვლილი.

ძირითადი საინფორმაციო ხარვეზები

სიტუაციური ანალიზის საფუძველზე მოხდა ძირითადი საინფორმაციო ხარვეზების იდენტიფიცირება. ისინი შემაჯამებელი სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

- ინფორმაცია საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პროდუქციის (ნივთიერებების სახეობა, რაოდენობა) წარმოების, გამოყენებისა და შენახვის შესახებ - მაგალითად, საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით განხორციელდა იმ ქიმიური პროდუქციის საბაზრო კვლევა, რომელიც შემდგომში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოში ქიმიური მრეწველობის განვითარების მიზნით. საბაზრო კვლევა განახორციელა საკონსულტაციო კომპანია KPMG-იმ [KMPG, 2015] ქიმიური პროდუქციის შემდეგ ოთხ ჯგუფთან მიმართებით: ეთერზეთები, ჰიდროკარბონები, ოქსიმჟავები და არომატიზატორები; სამრეწველო დანიშნულების აირები; საპოხი საშუალებები, მინერალური სასუქები და აბოტოვანი ნაერთები; აგროქიმიური პროდუქცია (პესტიციდები, მათ შორის ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები, როდენტიციდები და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებები); საღებავები, ლაქები და სხვა ლაქ-საღებავები; პარფიუმერია და კოსმეტიკა; პიგმენტები და სხვა საღებავები; გასაპრიალებელი საშუალებები; საპნები და სარეცხი და საწმენდი საშუალებები. საბაზრო კვლევის პროცესში, საქართველოში აღნიშნული პროდუქციის წარმოება-მოხმარების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო. საქართველოში პროდუქციის მოხმარების მაჩვენებლების გაანგარიშება მოხდა დაშვებების საფუძველზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გამოთვლის მეთოდი „პროდუქტის წმინდა იმპორტი (იმპორტს მინუს ექსპორტი) მიჩნეულ იქნა წლის განმავლობაში მოხმარების ოდენობის მაჩვენებლად“;

- ინფორმაცია საშიში და სხვა სახის ნარჩენების (ნარჩენის სახეობა და ოდენობა) წარმოებისა და განთავსების, მათ შორის დროებითი განთავსების/შენახვის (ადგილმდებარეობა, სახეობა, ოდენობა და განთავსების/შენახვის პირობები) შესახებ – 2015 წელს საქართველოში მიიღო ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული კანონი ნარჩენების მართვის შესახებ. გარემოს დაცვის სამინისტრო მუშაობს ნარჩენების შესახებ ინფორმაციის შეკრების სისტემისა და ეროვნული მონაცემთა ბაზის შექმნაზე;
- სამრეწველო ობიექტების ჩამონათვალი (რეესტრი), რომლებიც იყენებენ, აწარმოებენ და ინახავენ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს - აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მონაცემები არაერთ სამსახურს გააჩნია, მაგრამ ისინი სისტემატიზებული არ არის და მათი პრაქტიკულად გამოყენება შეუძლებელია (მაგალითად, ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციების ხელთ არსებული საშიში ობიექტების რეესტრები) ან მონაცემები მოძველებულია - არ განახლებულა.
- ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან მიმართებით არსებული ქიმიური რისკების შეფასების შესახებ არასაკმარისია.
- საკვებისა და სასმელი წყლის ქიმიური დაბინძურების ამსახველი მონაცემები - ამ სახის გაზომვებს ატარებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სააგენტო, თუმცა მათ არასისტემატური ხასიათი აქვს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ.
- ადამიანის ჯანმრთელობაზე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების ამსახველი მონაცემები - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი თავს უყრის მათთან მონამვლის შესახებ შესული შემთხვევების ამსახველ სტატისტიკურ ინფორმაციას (<http://ncdc.ge/ka-GE/Statistics>). თუმცა, ეტიოლოგიური ფაქტორების საიდენტიფიკაციო ტექნიკური/ლაბორატორიული საშუალებების სიმწირის გამო, ინფორმაცია სრულყოფილი არ არის;
- გარემოს ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების მონიტორინგის ამსახველი მონაცემები - გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ეტაპობრივად აუმჯობესებს მონიტორინგის სისტემას, მაგრამ გაზომვების რაოდენობა და პერიოდულობა, ისევე როგორც შეკრებილ ინფორმაციაზე წვდომის ხარისხი, არაადამაკმაყოფილებელია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე (2015წ);
- ქიმიური საფრთხეების, მათი კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების ამსახველი მონაცემები სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომი არ არის;
- არსებული ინფორმაცია ყოველთვის „ონლაინ“ რეჟიმში ხელმისაწვდომი არ არის;
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას შორის არსებული საინფორმაციო ნაკადები, კოორდინაცია და თანამშრომლობა არაერთგვაროვანია. გათვალისწინებული არ არის საბაჟო დეპარტამენტს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სავალდებულო მექანიზმის არსებობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების უკანონო ბრუნვის პრევენციისათვის. როგორც ჩანს, თითოეული სახელმწიფო უწყება (მაგალითად, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, მთავრობა და სხვ.) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცდილობს ამ საკითხთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების მოგვარებას.

საინფორმაციო ხარვეზებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებით გამართული დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები

ინფორმაციასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების განსახილველად თბილისში, 2015 წლის 29-30 ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა „დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით და საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც ბლუდავს ინფორმაციის შეკრება-გაზიარებას“. სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი სექტორის წარმომადგენლებმა იმსჯელეს, თუ რა სახის ინფორმაციაა საჭირო და რა დანიშნულებით, რომ საქართველოში უზრუნველყოფილი იქნეს ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვა.

მსჯელობისას ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე; ქიმიური ნივთიერებების/პროდუქციის ოდენობაზე; ინფორმაციაზე იმ სანარმოების შესახებ, რომლებიც იყენებენ, აწარმოებენ და ინახავენ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს; ქიმიური ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის ამსახველ მონაცემებზე; ქიმიური ნივთიერებების საშიშ და ნაკლებად საშიშ მახასიათებლებზე; ქიმიური ნივთიერებებისა და პროდუქციის კლასიფიკაციასა და ეტიკეტირებაზე; გარემოს, სურსათისა და სასმელი წყლის მონიტორინგის ამსახველ მონაცემებზე; ნარჩენების გენერირება-მართვის მონიტორინგზე; ლაბორატორიულ შესაძლებლობებსა და ადამიანურ რესურსებზე, ადამიანსა და გარემოსთან დაკავშირებული ქიმიური რისკების შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის შეკრების თვალსაზრისით; ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკაზე, მკურნალობასა და ზედამხედველობაზე და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად ტოქსიკოლოგიური ცენტრის შექმნაზე; შრომის უსაფრთხოებაზე; ქიმიური ნივთიერებების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და ხარვეზებზე; ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე მზაობა-რეაგირების უზრუნველსაყოფად; შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

ინფორმაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების პრიორიტეტულობის განსაზღვრის საფუძველზე, შეხვედრის მონაწილეებმა დაასკვნეს, რომ პრიორიტეტად უნდა განიხილებოდეს შემდეგი სახის ინფორმაციის შეკრება:

- ინფორმაცია გამოყენებული, წარმოებული და შენახული ქიმიური ნივთიერებების, მათი ოდენობისა და მფლობელების შესახებ;
- ინფორმაცია ქიმიური მახასიათებლების შესახებ;
- ინფორმაცია საფრთხის შემცველ საქმიანობებსა და მათი განხორციელების ადგილის შესახებ;
- ინფორმაცია მოწამვლებთან დაკავშირებულ და ტოქსიკოლოგიურ ტერმინოლოგიაზე.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ ქიმიური ნივთიერებებისა და პროდუქციის შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების ძირითადი მიზანია:

- ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოსა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ადამიანის, ისევე როგორც დასაქმებული პირების ჯანმრთელობის დაცვა ქიმიური ნივთიერებების უარყოფითი ზემოქმედებისაგან;

- საგანგებო შემთხვევებისათვის მზაობა და საგანგებო შემთხვევების შემდგომი ეტაპით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნების შესრულება;
- ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაცია და ეტიკეტირება, განსაკუთრებით, ექსპორტირებულ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;
- ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ნაკლებად საშიში ან არასაშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გენერირება და მასზე წვდომა, ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრის ფონზე. მთლიანობაში, არსებობს როგორც ინფორმაციის გაცვლის სისტემების შექმნითა და ინტეგრირებულ და/ან სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებზე წვდომით დაინტერესება, ისე მათ დანერგვაში მონაწილეობის საჭიროება.

რეკომენდაციები რეესტრთან დაკავშირებულ ასპექტებზე

ეროვნული სიტუაციური ანალიზისა და ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის საჭიროებაზე დაინტერესებული მხარეების მიერ ჩატარებული ანალიზის მთავარი შედეგი იყო რეესტრთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაინტერესებული მხარეების მიერ საკონსულტაციო შეხვედრაზე იდენტიფიცირებული პრიორიტეტების ჭრილში უნდა გაანალიზდეს საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრების საერთაშორისო პრაქტიკა, სახელმწიფო რეესტრისა და სარეგისტრაციო სისტემის შექმნის თაობაზე გადანაცვლებების მიღების მიზნით;
- ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციაა სახელმწიფოს მიერ როგორც საქართველოს კანონების ურთიერთშესაბამისობის, ისე საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, რაც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს ინფორმაციაზე და იქცევა საკანონმდებლო ხარვეზებსა და ინფორმაციის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ლოგიკურ ამოსავალ წერტილად;
- უნდა მომზადდეს აკრძალული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების და შეზღუდული ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების კლასიფიკაციის ამსახველი სია და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ერთიანი, თანამედროვე, ტექნიკურად გამართული და ადვილად გამოსაყენებელი სახელმწიფო ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ანალოგიური მონაცემთა ბაზა უნდა შეიქმნას ქიმიური ნივთიერებების მახასიათებლებისათვის;
- უნდა შემუშავდეს და პრაქტიკულად აღსრულდეს წესები მონაცემთა ბაზების სისტემატური განახლების უზრუნველსაყოფად და საბაჟო დეპარტამენტს, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს უნდა გააჩნდეთ სრული წვდომა რეესტრზე;
- ეროვნული საკანონმდებლო სისტემის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს კლასიფიკაცია და ეტიკეტირება UN GHS/CLP-ის შესაბამისად;
- უნდა გამოიცეს ინფორმაცია მებაჟეებისათვის, მარტივად გამოსაყენებელი ელექტრონული და ნაბეჭდი სახელმძღვანელოების სახით, რომ მათ შეძლონ პრაქტიკაში არსებული უკანონო ბრუნვის პრევენცია;
- უნდა დამკვიდრდეს ნებართვების, დეკლარაციების, აღიარების სერთიფიკატის ფორმების; აკრძალული და შეზღუდული ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების; ქიმიურ ნივთიერებებსა და პროდუქციასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ

საქართველოს ყველა შესაბამის საჯარო უწყებას შორის ინფორმაციის სისტემატური გაცვლის პრაქტიკა;

- განხილულ უნდა იქნეს რეესტრის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობა;
- უნდა დაარსდეს ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი (ტოქსიკოლოგიის ცენტრი), რომელიც სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყოფს ინფორმაციითა და კონსულტაციით მწვავე მონამკვლეებისა და შემდგომი გართულებების დიაგნოსტიკა-მკურნალობასთან დაკავშირებული უახლესი მეთოდების შესახებ, ხოლო კრიტიკულ შემთხვევებში უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალიზებული დახმარების აღმოჩენას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, ცენტრის ფუნქცია უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებების (ამბულატორიები, სტაციონარები, მუნიციპალური და რეგიონული საავადმყოფოები) ქსელისა და მოსახლეობის ინფორმირება საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულებით გამოყენებული ქიმიური პროდუქციის შემადგენლობის, მავნე ზემოქმედებით გამოწვეული საფრთხეების; მონამკვლის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და სამკურნალო საშუალებების შესახებ ინფორმირება;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რეესტრის მასშტაბი (განსახილველია რეესტრის ფორმა).

ეს არის იმ ასპექტების ჩამონათვალი, რომლებზეც გამახვილდა ყურადღება საშიში ნივთიერებების სახელმწიფო რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვა-შემუშავებისას.

3.2. ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მოდელისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება

საქართველოში საშიში ნივთიერებების რეესტრის მოდელის სტრუქტურა შემუშავდა საშიში ქიმიური ნივთიერებების რეესტრების შექმნის ამსახველი საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისადმი წაყენებული მოთხოვნების, არსებული საკანონმდებლო ბაზის, ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გათვალისწინებით.



რეესტრის მოდელი შეიქმნა შემდეგ ევროპულ დირექტივებში მოცემული განსაზღვრებების შესაბამისად: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 22 მაისის რეგულაცია (EU) № 528/2012 „ბიოციდური პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ“, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) № 1272/2008 „ქიმიური ნივთიერებებისა და ნარეგების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“, რომლითაც ჩანაცვლდა და შეიცვალა დირექტივები 67/548/EEC და 1999/45/EC და რეგულაცია (EC) № 1907/2006, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 1907/2006 – „ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ“ (REACH).

ქიმიური ნივთიერებების რეგისტრის მოდელის სტრუქტურა

კომპანიის/იურიდიული პირის (რეგისტრაციაზე განმცხადებლის) რეგისტრაციის /ნოტიფიცირების პროცედურა შემდეგი სახისაა:

თუ კომპანია/იურიდიული პირი პირველად აწარმოებს საშიშ ქიმიურ ნივთიერებას ან საშიშ ქიმიურ ნაზავს, რომლის ოდენობა შეადგენს 1 ტონას ან მეტს (შესათანხმებელია დაინტერესებულ მხარეებს შორის) წლიურად, ან ახორციელებს ასეთი ნივთიერების/ნარევის იმპორტს, ექსპორტს ან რეექსპორტს, თავდაპირველად მას მოეთხოვება ნოტიფიცირება, თუ რაოდენობა სცილდება დადგენილ ზღვარს ან თუ გამოყენება ხდება სამრეწველო დანიშნულებით.

„ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ რეგულაციით გათვალისწინებული ნივთიერებები და ნაზავები, ნებისმიერი ოდენობით, ექვემდებარება რეგისტრაციას/ნოტიფიცირებას. შესაბამისად, კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ ან ახდენენ ქიმიური ნივთიერებების იმპორტს და ბაზარზე განათავსებენ საშიშ ქიმიურ ნივთიერებას ან ნარევს, მოეთხოვებათ ასეთი ნივთიერებების და/ან ნარევების შესაბამის საჯარო უწყებაში დარეგისტრირება/ნოტიფიცირება. სისტემაში ინფორმაციის წარდგენა ხორციელდება მონაცემთა გადაცემის გზით, ელექტრონული დოკუმენტის ფორმით.

თავდაპირველად, კომპანია უნდა დარეგისტრირდეს მონაცემთა ბაზაში მთავარი ვებგვერდის მეშვეობით. რეგისტრაციის/ნოტიფიცირების მიზნით სავალდებულოა კომპანიის დღგ-ის გადამხდელის სტატუსის დამადასტურებელი ნომრის მითითება. სისტემა ორენოვანია და გვთავაზობს ქართულ და ინგლისურ ვერსიებს. დარეგისტრირება/ნოტიფიცირება შესაძლებელი იქნება კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში. სრული პროცედურა 4 ეტაპისაგან შედგება:

1. რეგისტრაცია / ნოტიფიცირება

ეტაპი 1- იურიდიული პირის/კომპანიის რეგისტრაცია/ნოტიფიცირება

განმცხადებელმა უნდა მიუთითოს საკუთარი სამართლებრივი სტატუსი: იურიდიული პირი ან კომპანია. შემდეგ მიეთითება ისეთი მონაცემები, როგორცაა: ნოტიფიცირების განმახორციელებელი პირის საკონტაქტო რეკვიზიტები, შეტყობინება/ნოტიფიცირების განმახორციელებელი კომპანიის მონაცემები/საკონტაქტო რეკვიზიტები, კერძოდ, გადასახადის გადამხდელის ნომერი, რომელსაც ორჯერ ამოწმებს სისტემა, კომპანიის სახელწოდება; ქალაქი, რომელშიც მდებარეობს კომპანია და მისი ფილიალ(ებ)ი (შესაძლებელია შეირჩეს ჩამოსაშლელი მენიუს საშუალებით).

ეტაპი 2 - ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია/ნოტიფიცირება

მეორე ეტაპზე კომპანიამ უნდა წარმოადგინოს კომპანიის/იურიდიული პირის პროფილი სისტემაში შესვლით.

ეტაპი 3- ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია/ნოტიფიცირება

რეგისტრაციის ვალდებულება გააჩნია მწარმოებელს, იმპორტიორს, ექსპორტიორს, რეექსპორტიორს ან მწარმოებლების, იმპორტიორების, ექსპორტიორების ან

რეექსპორტიორების ჯგუფს, რომელიც ბაზარზე განათავსებს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს (ნივთიერებას და/ან ნარევს). საჯარო უწყება/სამსახური/ცენტრალური ორგანო (მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვ.), რომელსაც უნდა ეცნობოს რეგისტრაციის/ნოტიფიცირების შესახებ, განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

განმცხადებელმა ჩამოსაშლელი მენიუს მეშვეობით უნდა შეარჩიოს ქვესისტემა, რომელშიც ითხოვს დაშვებას და დაშვების უფლების მოთხოვნა. დასტური (მომხმარებლის საიდენტიფიკაციო კოდსა და პაროლთან ერთად) ნოტიფიცირების განმახორციელებელ პირს ეგზავნება რამდენიმე დღეში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ეტაპი 4 - რეგისტრაციისათვის/ნოტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაცია

- **საშიში ნივთიერება;**
- **საშიში ნარევები**

მოცემულ შემთხვევაში სავალდებულოა ინფორმაციის სისტემატურად განახლება იმ დროისათვის, როდესაც ხელმისაწვდომი ხდება ახალი ინფორმაცია.

პროდუქტის (ბიოციდების) რეგისტრაცია/ნოტიფიცირება

ბიოციდური პროდუქტის ქართულ ბაზარზე განთავსებამდე რეგისტრანტი/შემტობინებელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ აქტიური ნივთიერება მიღებულია/დამტკიცებული ან განიხილება განხილვის პროცესშია კონკრეტული ტიპის პროდუქტად. აქტიური ნივთიერების სტატუსის გადამოწმება შესაძლებელია NCDC-ს ვებგვერდის მეშვეობით.

ბიოციდური პროდუქტის სახეობა უნდა შეირჩეს ჩამოსაშლელი მენიუს ჩამონათვალიდან („ბიოციდური პროდუქტების შესახებ“ რეგულაციით გათვალისწინებული ძირითადი ჯგუფიდან (BPR, რეგულაცია (EU) 528/2012) (EU) 528/2012)(BPR)). აღიარება ცენტრალური ორგანოს (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) მიერ: ნებართვის გაცემა ან შეზღუდვა ნებართვის მინიჭებისთანავე, რაც იძლევა პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსების უფლებას, ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ პასუხობდეს ნებართვით გათვალისწინებულ პირობებსა და შეზღუდვებს.

თუ განაცხადის ფორმა არ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, ნებართვა არ გაიცემა. განმცხადებელს შეიძლება მიეცეს განაცხადის შეცვლის/განახლების შესაძლებლობა იმგვარად, რომ ის მისაღები გახდეს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განმცხადებლებს შესთავაზებს ღია კავშირის რეჟიმს პროცესის ხელშესაწყობად.


გარდა ამისა, კომპანიებს მოეთხოვებათ შემდეგი მონაცემების შემცველი წლიური ანგარიშის წარდგენა:

- წელი;
- ანგარიშების თარიღი;
- სტატუსი (სრული/არასრული, გამოყენების შემთხვევაში);
- ქიმიური პროდუქტის ანგარიშების ნომერი;
- ქიმიური პროდუქტის დასახელება;

ინფორმაციული ნაკადების სქემა

დანიშნულმა უწყებებმა (დანიშვნა ხდება კანონის შესაბამისად) უნდა უზრუნველყონ ქიმიური შემადგენლობისა და ნარავების, მათ შორის ნარავებში გამოყენებული ნივთიერებების ქიმიური დასახელებების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ პრევენციული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შესახებ გადამწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით, საგანგებო შემთხვევებში, და/ან რისკების მართვის გაუმჯობესებაზე მიმართული ზომების მისაღებად საჭირო სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად.



ნოტიფიცირების ფურცლის შევსების შემდეგ, უსაფრთხოების შესახებ მონაცემების ფურცლის წარდგენა შესაძლებელია ორგვარად: „ონლაინ“ რეჟიმში ელექტრონული ფორმის შევსებით, რასაც ამარტივებს ჩამოსაშლელი მენიუები, ან მონაცემების ფურცლის „pdf“ ფორმატის დანართის ატვირთვით.

საჭიროების შემთხვევაში, თანდართულ უნდა იქნეს ბემოქმედების ვარიანტებისა და ეტიკეტირების პროექტის ამსახველი ინფორმაცია და ადმინისტრაციული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რაც ნოტიფიცირების პროცედურის სავალდებულო კომპონენტია. სისტემა ასევე უზრუნველყოფს კომუნიკაციას უწყებასა და კომპანიას შორის: ადმინისტრატორი შესაბამისი ველის მეშვეობით ატყობინებს კომპანიას დამატებითი ინფორმაციის/მონაცემების წარდგენის საჭიროების ან წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მცდარობის შესახებ. აღნიშნულ ველზე დაიშვებიან სახელმწიფო სამართალდამცავი სტრუქტურებიც.

შესაბამისი ინფორმაციის ასარჩევად (მაგალითად, პირდაპირი ბმული ECHA-ს კლასიფიცირებული ნივთიერებების მონაცემთა ბაზაში შესასვლელად, გამოყენების ტიპი, ფიზიკური მდგომარეობა, არასაშიში კომპონენტების ოჯახი და სხვ.) პროგრამა გთავაზობს ჩამოსაშლელ სიებს.

საფრთხეების შეტყობინების სტანდარტის (HCS) შესაბამისად ქიმიური ნივთიერებების მწარმოებლებს, გამანაწილებლებსა თუ იმპორტიორებს მოეთხოვებათ უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა ფურცლების (SDSs) (წარსულში ინოდებოდა მასალების უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა ფურცლებად (MSDSs)) წარდგენა, რითაც ხორციელდება საშიშ ქიმიურ

პროდუქციასთან დაკავშირებული საფრთხეების შეტყობინება. უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა ფურცლები წარმოადგენს ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტს.

რეესტრში განთავსებული ინფორმაცია განახლდება ყოველწლიურად კომპანიების მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშების გათვალისწინებით.

უსაფრთხოების შესახებ რეესტრის მოდელის შექმნის ფარგლებში მომზადებული მონაცემთა ფურცელი აკმაყოფილებს შესაბამის საერთაშორისო მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება და მიღწეული შედეგები ძალზე საინტერესოა საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების სფეროში ანალოგიური პრობლემების წინაშე მდგარი ქვეყნებისათვის.

3.3 წინადადებები ეროვნული კანონმდებლობის გასაძლიერებლად, ინფორმაციის შეკრება-გაზიარების მდგრადობის უზრუნველსაყოფად

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, არსებული კანონმდებლობის ანალიზის, ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში კანონმდებლობის გაძლიერებისა და ექსპერტებსა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს შორის შესაბამის სამუშაო შეხვედრებზე გამართული დისკუსიების საფუძველზე მომზადდა წინადადებები საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასთან დაკავშირებით.

იურიდიული კონცეფციის ფურცლის მიზანი იყო ეროვნული კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა, ქიმიური ნივთიერებების რეესტრის უკვე შეთანხმებულ პროექტსა და ორგანიზაციულ სტრუქტურასთან შესაბამისობაში, და იმ კანონების ჩამონათვალის მომზადება, რომლებშიც შეტანილ უნდა იქნეს ცვლილებები და/ან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში, საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ წინადადებების მომზადება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის შესაქმნელად და მოსახლეობის დასაცავად ქიმიური ნივთიერებების უარყოფითი ზემოქმედებისაგან საქართველომ არაერთი ზომა მიიღო. ძირითად კანონს, რომელიც განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებების ნოტიფიცირების კომპლექსურ სისტემას და მათ დაშვებას ბაზარზე, წარმოადგენს საქართველოს კანონი „**პესტიციდებისა და აგროქიმიკატების (25/11/1998)** შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. აღნიშნული კანონი არეგულირებს პროექტირების, წარმოების, ნოტიფიცირების, ეტიკეტირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების, აკრძალვის, განადგურების, ინფორმაციის გაცვლის, რეკლამირებისა და ექსპორტ-იმპორტის საკითხებს. „**პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ**“ კანონის საფუძველზე შემუშავებული ძირითადი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ემსახურება კანონის ეფექტურ აღსრულებას. პასუხისმგებელ საჯარო უწყებებს წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის უვნებლობის სააგენტო.

კანონი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ 29/11/2013 და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები განსაზღვრავს მხოლოდ სამხედრო თავდაცვისათვის განკუთვნილ ან როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დანიშნულების მქონე ქიმიური ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის მარეგულირებელ რეჟიმს. კომპეტენტურ უწყებას წარმოადგენს თავდაცვის სამინისტრო.

2014 წლიდან ძალაში შევიდა **მთავრობის დადგენილება 428/31/12/2013 „საშიში ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირების შესახებ“ ტექნიკურ რეგულაციასთან** დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისა და შეფუთვის წესს. 2016 წელს მიღებულ

იქნა მთავრობის დადგენილება 263/13/06 „ ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების რეგულირების რეჟიმს „წინასწარ დასაბუთებული თანხმობის შესახებ“ როტერდამის კონვენციისა და „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში კომპეტენტური ეროვნული ორგანოების დანიშვნას და მათ პასუხისმგებლობას, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უკეთ დაცვისა და ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების უსაფრთხოდ გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. საშიში ქიმიური ნივთიერებების შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო პესტიციდების შემთხვევაში - სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის პროცესის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი არის ინფორმაციული რესურსების სიმწირე - მათი არარსებობა ან არადაამაკმაყოფილებელი ხარისხი ან არასაიმედოობა. საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე (ხელი მოეწერა 2014 წელს) აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე. ქიმიური ნივთიერებების მართვის საკითხს ეთმობა შეთანხმების VI კარი „თანამშრომლობის სხვა სფეროები“, თავი 3 „გარემოს დაცვა“, მუხლი 302: „თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორცაა ქიმიური ნივთიერებების მართვა“. ზემოხსენებულ მიზანს ემსახურებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის მიერ, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის გზით განხორციელებული და გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს მიერ დაფინანსებული საკონსულტაციო დახმარების პროგრამა „საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარებისათვის საკანონმდებლო და ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა“.

2017 წელს, პროგრამის ფარგლებში, ეროვნული ექსპერტების ტექნიკურმა გუნდმა, სლოვენიიდან და უნგრეთიდან საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით, შეიმუშავა ქიმიური ნივთიერებების რეესტრის დეტალური სტრუქტურა, შინაარსობრივი ფორმატი და ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის ეტაპები. ქიმიური ნივთიერებების რეესტრის პროექტი განხილულ იქნა და შეთანხმდა შესაბამის საჯარო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პროცესი დასრულდა ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შესაქმნელად საჭირო საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული კონცეფციის ფურცლის მომზადებით. იურიდიული კონცეფციის ფურცელიც განხილულ იქნა და შეთანხმდა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან.

იურიდიული კონცეფციის ფურცლის მიზანი იყო ეროვნული კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა, ქიმიური ნივთიერებების რეესტრის უკვე შეთანხმებულ პროექტსა და ორგანიზაციულ სტრუქტურასთან შესაბამისობაში, და იმ კანონების ჩამონათვალის მომზადება, რომლებშიც შეტანილ უნდა იქნეს ცვლილებები და/ან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში, საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ წინადადებების მომზადება.

2017 წლის 13-14 მარტს საერთაშორისო ექსპერტებისა და ეროვნული დაინტერესებული მხარეების მიერ თბილისში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, დაინტერესებული მხარეების შეხვედრის ფარგლებში გამართული მიმოხილვისა და დისკუსიების შედეგად შეთანხმდა შემდეგი სამომავლო ნაბიჯების გადადგმა:

- არსებულ, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიული უსაფრთხოების, საშიში ქიმიური ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების, გარემოს დაცვის, საგანგებო შემთხვევებისათვის მზაობისა და მათზე რეაგირების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების კანონპროექტების ან შესაბამისი ახალი კანონპროექტების მომზადება, საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად ;
- ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარების მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო საკანონმდებლო ბაზის მომზადებასთან დაკავშირებული სამომავლო ნაბიჯების შესახებ წინადადებების მომზადება.

გარდა ამისა, 2017 წლის 28-29 მარტს, საქართველოში, თბილისში გამართულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ქიმიური რეესტრის შესახებ ინფორმაციის შეკრება-გაზიარებისათვის საჭირო საკანონმდებლო პლატფორმის ამსახველი პრეზენტაცია.

ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სისტემის შექმნასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ვარიანტი განხილულ იქნა 2017 წლის „ქიმიური ნივთიერებების რეესტრის სტრუქტურის პროექტის“ ჭრილში.

ხსენებული პროცესის შედეგად, საქართველოში ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სისტემის შექმნის ამოსავალ წერტილად შეირჩა შემდეგი სამართლებრივი ვარიანტი:

- ქიმიური ნივთიერებებისა და მათი ნარევიების სარეგისტრაციო სისტემის შემოღება უნდა მოხდეს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ 2007 წლის კანონზე (*მუხლი 24 - ქიმიური უსაფრთხოება*) დაყრდნობით;
- მთავრობის მიერ უნდა შემუშავდეს და ტექნიკური რეგულაციების სახით დამტკიცდეს შესაბამისი ამომწურავი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ქიმიური ნივთიერებების მონაცემთა ბაზისა და სარეგისტრაციო სისტემის ორგანიზაციულ-ტექნიკური დეტალების მომზადების ჩათვლით.

მიდგომის მოკლე განმარტება

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ 2007 წლის კანონში შესატანად მომზადებული ცვლილებების (მაგალითად, 24-ე მუხლის ახალი ვერსია იძლევა ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული მეტი რაოდენობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დებულების ინტეგრაციის შესაძლებლობას (*რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრება, დანერგილი სარეგისტრაციო სისტემის მასშტაბი და სხვ.*) განვრცობა უნდა მოხდეს ამავე კანონს დაქვემდებარებულ ტექნიკურ რეგულაციებში (დანართი 2).

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების თანახმად, მთავრობას (*მინისტრთა კაბინეტს ან ცალკეულ საჯარო უწყებებს*) ეკრძალებათ ისეთი რეგულაციების (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების) შემუშავება, რომლებიც შესაბამისობაში არ არის კანონთან ან კანონი პირდაპირ არ მიუთითებს მათ საჭიროებაზე. მიუხედავად იმისა რომ, უშუალოდ კანონში რიცხვების შეტანა არაპრაქტიკული და არასასურველია, შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების დაწესებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დანიშნულების ამომწურავი აღწერილობის შეტანა მისასაღმებელია.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ 2007 წლის კანონის 24-ე მუხლი მოდიფიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე და შემუშავებულია მისი ახალი ვერსია.

ამ ცვლილების მიზანია ქიმიური ნივთიერებების რეესტრის, როგორც ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო ეროვნული სისტემის შექმნა, რომელსაც შემდეგი დანიშნულება ექნება:

- ადამიანებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და გარემოსთან მიმართებით არსებული რისკების იდენტიფიცირებით, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ქიმიური ნივთიერებების იმპორტს, წარმოებასა და გამოყენებას;
- ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციისა და რეკომენდაციების უზრუნველყოფა;
- საქართველოს მიერ ქიმიური ნივთიერებების რეგულირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება;
- ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება, რადგან სისტემის მოდელი ითვალისწინებს ქიმიური ნივთიერებების იმპორტიორებისა და მწარმოებლებისაგან ამ ნივთიერებების ქიმიური ზემოქმედების საკითხსა და თვისებებზე ინფორმაციის მოპოვებას.

ცვლილებაში მითითებულია, რომ ქიმიური ნივთიერებების რეესტრს მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახე ექნება.

ცვლილების თანახმად, მწარმოებლებს, იმპორტიორებსა და შემდგომ მომხმარებლებს მოეთხოვებათ ქიმიური ნივთიერების დარეგისტრირება ქიმიური ნივთიერებების რეესტრში.

ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქართველოში არ დაიშვება შემდეგი ქიმიური ნივთიერებების, მათი ნარეგებისა თუ მათი შემცველი პროდუქციის წარმოება და ბაზარზე განთავსება:

- ბიოციდები - 2018 წლის 1 ივლისიდან;
- საშიში ქიმიური ნივთიერებები - 2018 წლის 1 ივლისიდან;
- სამრეწველო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებები - 2020 წლის 1 ივლისიდან

ვინაიდან ამჟამად საქართველოს არ გააჩნია საშიში ქიმიური ნივთიერებების სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სია, ცვლილება განმარტავს, რომ ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის, საშიში ქიმიური ნივთიერებები ნიშნავს „ქიმიური ნივთიერებისა და ნარეგების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის (EC) No 1272/2008 რეგულაციის VI დანართში მოცემული 3.1 ცხრილით გათვალისწინებული ნივთიერებების ჩამონათვალს (ჰარმონიზებულ კლასიფიკაციასა და ეტიკეტირებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების სია).

ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ითვალისწინებს ქიმიურ რეესტრში სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან, (არა მხოლოდ ბიოციდებთან, საშიშ ქიმიურ ნივთიერებებსა და სამრეწველო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებთან). კერძოდ:

- 2022 წლის 1 იანვრიდან პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან;
- 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ ნარჩენებთან;
- 2023 წლის 1 იანვრიდან რადიაციულ ნივთიერებებსა და ნარჩენებთან;
- 2024 წლის 1 იანვრიდან სურსათსა და საკვებ პროდუქტებთან;
- ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილ და ვეტერინარიული გამოყენების ფარმაცევტულ პროდუქციასთან (სამედიცინო პროდუქციასთან);
- 2025 წლის 1 იანვრიდან კოსმეტიკურ პროდუქციასთან;

- 2026 წლის 1 იანვრიდან სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული მონაცემებისა და ინფორმაციის ეტაპობრივად ინტეგრირებას. ქიმიური ნივთიერებების რეესტრის ეტაპობრივად ინტეგრირების საფუძველზე, 2016 წლის შემდეგ, მას სრულად ინტეგრირებული ქიმიური ნივთიერებების რეესტრის სახე ექნება.

ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციასთან მიმართებით ცვლილება კომპეტენტურ ორგანოდ ასახელებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, რომელსაც ეკისრება ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება.

ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დეტალები, როგორცაა სტრუქტურა, ნოტიფიცირება, სარეგისტრაციო წესები და პროცედურები, ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული ნივთიერებების ამომწურავი სია (რაოდენობრივი აღწერილობის ჩათვლით), განსაზღვრული იქნება ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მარეგულირებელ ტექნიკურ რეგულაციაში. რეგულაციას დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისს წარდგენილი წინადადების საფუძველზე.

ამრიგად, 2018 წლის 1 ივლისი არის ქიმიური ნივთიერებების რეესტრისა და რეგისტრაციის პრაქტიკაში დანერგვის სამიზნე თარიღი.

„ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შესახებ“ ტექნიკური რეგულაციის გარდა, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ შემდეგი რეგულაციების მიღება:

- არაუგვიანეს 2018 წლის დასასრულისა, ტექნიკური რეგულაცია „ბიოციდების შესახებ“, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ჰარმონიზაციას „ბიოციდური პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 22 მაისის (EC) No 528/2012 რეგულაციით გათვალისწინებული ნორმებთან;

და

- არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა, ტექნიკური რეგულაცია „ქიმიური ნივთიერებებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ჰარმონიზაციას „ქიმიური ნივთიერებებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის (EC) No 1272/2008 რეგულაციით გათვალისწინებულ ნორმებთან.

გემოხსენებული საკითხის სრულად მოცვის მიზნით, ცვლილება განსაზღვრავს ქიმიური უსაფრთხოებისა და მართვის შესახებ ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავებისა და მიღების თარიღსაც, როგორც არაუგვიანეს 2022 წლის 1 იანვარს. ჩარჩო ხელშეკრულება უნდა მომზადდეს ერთობლივად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების მიერ.

დასკვნითი დებულება ითვალისწინებს ჯარიმებს კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის. ცვლილების თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და, არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმების ამსახველი დებულებების პროექტი. აქედან გამომდინარე, ცვლილება ახდენს ქიმიური ნივთიერებების რეესტრის პრაქტიკაში დანერგვისა და კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმების ამოქმედების დროში სინქრონიზაციას - ორივე მათგანი ძალაში იქნება 2018 წლის 1 ივლისიდან, თუ არსებული საკანონმდებლო ცვლილება დამტკიცდება 2017 წლის მეორე ნახევარში.

თავი 4. დასკვნები და სამომავლო ნაბიჯები

4.1 დასკვნები

არსებული ვითარების ეროვნულ დონეზე შეფასებამ ცხადყო დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები და შექმნა ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის მოდელის, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადების საფუძველი.

რეესტრის მოდელის შექმნასთან დაკავშირებული წინადადება, რეესტრის დემოვერსია და ორგანიზაციული სტრუქტურა შემუშავდა ეროვნული ექსპერტების მიერ, პროექტის საერთაშორისო კოორდინატორსა და თანამშრომლობის გზით.



საერთაშორისო ექსპერტებთან

საქართველოს ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის კონცეფცია სრულყოფილად ჩამოყალიბდა ყველა დაინტერესებული მხარის შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით და კომენტარებისა და შენიშვნებისათვის გაეგზავნა სამინისტროებს.

ეროვნულმა ექსპერტებმა, „ქიმიური უსაფრთხოების ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის შესახებ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და IFCS-ის ერთობლივი გამოცემის საფუძველზე, შეიმუშავეს და სახელმწიფო ენაზე გამოსცეს პირველი ეროვნული განმარტებითი ლექსიკონი ტოქსიკოლოგიაში. გარდა ამისა, ქართულ ენაზე მომზადებულია მასალების უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა 40-ზე მეტი ფურცელი. შეკრებილია საქართველოში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

პროექტის მიმდინარეობისას ინიცირებულ იქნა ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებული დამატებითი ღონისძიებები, კერძოდ:

2015 წლის 29-30 ოქტომბერს დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების მიერ ეროვნულ დონეზე ინფორმაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე მსჯელობამ ცხადყო სტოკჰოლმისა და როტერდამის კონვენციებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებების არასრულყოფილი სამართლებრივი მართვის პრობლემა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2016 წლის 13 ივნისის N 263 დადგენილება „წინასწარ დასაბუთებული თანხმობის შესახებ და საქართველოში აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული საშიში ნივთიერებებისა და პესტიციდების სია“.

გარდა ამისა, შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით, ნ.მახვილადის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტებმა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოორდინაციის გზით, ევროსაბჭოს 1998 წლის 7 აპრილის 98/24/EC დირექტივის მე-4 მუხლის და სამუშაო ადგილზე არსებულ ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკისაგან დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან მიმართებით საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად შეიმუშავეს რამდენიმე რეგულაცია, კერძოდ:

1. ტექნიკური რეგლამენტი „სამუშაო ადგილზე ქიმიური ნივთიერებების გემოქმედების მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ“;
2. ზოგადი მოთხოვნები ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისადმი;

3. ზოგადი მოთხოვნები უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა ფურცლებისადმი;
4. ზოგადი მოთხოვნები ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისადმი.

პროექტის განხორციელებაში ჩართულმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა აიმაღლეს ქიმიური უსაფრთხოების სფეროში ევროპული კანონმდებლობის ცოდნის ხარისხი. გაანალიზდა პრობლემები და განისაზღვრა გადაჭრის შესაძლო გზები. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულ ექსპერტებში მოტივაციის შენარჩუნება. პროექტი უნდა გაგრძელდეს და უზრუნველყოს სათანადო შესაძლებლობები. ერთი მხრივ, არსებობს რეალური ვითარების გაუმჯობესებისათვის მზაობა. მეორე მხრივ, ეროვნული ექსპერტები ხელისუფლებას ახსენებენ ადებულ ვალდებულებებსა და ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს, რის საფუძველზეც საქართველოს მთავრობა შეუქცევადი პროცესის მონაწილე გახდა.

პროექტის ფარგლებში დიდი გამოცდილება მიიღეს არა მხოლოდ ეროვნულმა ექსპერტებმა, არამედ საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვაზე პასუხისმგებელმა მხარეებმაც. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროექტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული ცენტრების ჩართულობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ადგილობრივ დონეზე პრობლემების არსებობას, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ადგილობრივად ქიმიური ნივთიერებების არსებობასთან, შენახვასთან, რეალიზაციასთან, დასაწყობებასთან, დაბინძურების სხვადასხვა წყაროსთან და სხვ. დაკავშირებით ინფორმირებულობის ტრილში.



4.2 სამომავლო ნაბიჯები

პროექტის შედეგები ეროვნული ხელისუფლების პრიორიტეტების დღის წესრიგშია. საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერი მხარეა და ვალდებულია აღებული ვალდებულებების შესრულება, საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომების, რეგულაციებისა და რეკომენდაციების შემოღების მიზნით. პროექტის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნულ დონეზე ცნობიერების დონის ასამღლებლად და საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების უკეთ შესასრულებლად.

პროექტის შედეგები იქნება ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული გაუმჯობესებული საკანონმდებლო/ნორმატიული ბაზის შექმნის საფუძველი. არსებული ჰიგიენური ნორმები და ტექნიკური რეგულაციები საჭიროებს გადახედვას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გზამკვლეულებისა და შესაბამისი ევროპული დირექტივების გათვალისწინებით.

ქვეყნის ქიმიური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა შექმნას ქიმიური ნივთიერებების ერთიანი ეროვნული მონაცემთა ბაზა - ელექტრონული რეესტრი.

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნასთან დაკავშირებული სამომავლო ნაბიჯები განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში გამართული დასკვნითი შეხვედრის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაზიარების სისტემის შექმნის გზაზე: საქართველოს გამოცდილება“ ფარგლებში (თბილისი, საქართველო, 2017 წლის 28-29 მარტი).

შეხვედრის მონაწილეებმა დაასკვნეს, რომ საქართველოში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნა სასარგებლო იქნება ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად შემდეგი თვალსაზრისით:

- ქიმიური ნივთიერებების გაუმჯობესებული მართვა - ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის განთავსებული ბაზარზე და როგორ უნდა მოხერხდეს არსებული ქიმიური ნივთიერებების რაციონალურად მართვა;
- რაოდენობასა და შენახვასთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან მიმართებით არსებული რისკების შესაფასებლად;
- ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეულ საგანგებო შემთხვევებში პირველად დახმარებასა და უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა;
- შესაბამის კონვენციებს დაქვემდებარებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრების გაგრძელება;
- სხვადასხვა სექტორის მიერ მონაცემთა ბაზების გამოყენების შესაძლებლობა (პროგრამული უზრუნველყოფის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგება მარტივია და ბაზებზე წვდომა თითქმის მყისიერია);
- ბაზებში დაცულ მონაცემებზე დაიშვება ნებისმიერი პირი შეზღუდული წვდომის უფლებით, მონაცემთა კონფიდენციალობისა და სხვა შესაბამისი საკითხების გათვალისწინებით;
- მონაცემთა ბაზა მნიშვნელოვანია რისკ-მენეჯერებისათვის - რისკების შეფასებისა და რისკების შეტყობინებისათვის; ინსპექტორებისათვის - ინციდენტების შემთხვევაში, რუტინული კონტროლისას და პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად.

დაგეგმვის ფაზაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს *ანგარიშგების ელექტრონული სისტემის* შექმნა, გამომდინარე არაერთი უპირატესობიდან, რომელიც მას გააჩნია:

- დოკუმენტების ბეჭდური ასლებისაგან განსხვავებით, რომელთა შეფასებას დიდი დრო, ხოლო შენახვას დიდი ადგილი ესაჭიროება, მონაცემთა ელექტრონული ბაზები მყისიერად იწყებს მუშაობას; ბეჭდური ვერსიების წარდგენისას, ინფორმაციის დროულად განახლება და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება;
- ბევრად მარტივია ინფორმაციის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ბაზებზე დაშვების უზრუნველყოფით, კონფიდენციალობისა და ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით;

- ენობრივი ბარიერების არარსებობის პირობებში, მარტივად შეიძლება პროგრამული უზრუნველყოფის ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებზე მორგება (მაგალითად, აკრძალული ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციაზე უარით);
- პროგრამული უზრუნველყოფა ვებ-ბაზაზე მუშაობს და მონაცემების შეყვანა შესაძლებელია მხოლოდ მობილური ტელეფონის გამოყენებით ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი;
- აღნიშნული ელექტრონული სისტემის არსებობა სხვადასხვა ცვლადის (რეალიზატორი, ქიმიური ნივთიერება, საფრთხე და სხვ.) გამოყენებით არაერთი ანგარიშის შედგენის შესაძლებლობას იძლევა.

სამომავლო ნაბიჯების განხილვის შედეგად მომზადდა შემდეგი წინადადებები:

ეროვნული ექსპერტების წინადადებით, სარეგისტრაციო სისტემის დანერგვას ეტაპობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და, თავდაპირველად, უნდა მოხდეს ნებისმიერი ბიოციდის ან განსაკუთრებით საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაცია, რომლის ოდენობა აღემატება 100 კგ-ს. ინფორმაცია უნდა უზრუნველყონ მწარმოებლებმა, მომხმარებლებმა და იმპორტიორებმა. განსაკუთრებით საშიში ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიცირება მოხდება „ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ რეგულაციის VI დანართში მოცემული ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალის გამოყენებით, რომელიც მოიცავს 4500 ნივთიერებას. სამრეწველო დანიშნულების ყველა ქიმიური ნივთიერება დაექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას 2020 წლიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის გადახედვა-სრულყოფა, წარსულში აღებული ისეთი ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, როგორცაა „ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ რეგულაციის შემუშავება-დანერგვა (სავარაუდოდ, 2020-2021 წლებში). ყურადსაღებია პესტიციდებისა და სადებიზფექციო საშუალებების რეგისტრაციის მხრივ არსებული ეროვნული გამოცდილება.


ეროვნული ექსპერტების წინადადებით, ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციისათვის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად ამოსავალი წერტილი უნდა იყოს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ არსებული კანონი. ეს კანონი მოიცავს მუხლს, რომელიც მოითხოვს საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის შეკრებას. პასუხისმგებელმა სამინისტროებმა უნდა ითანამშრომლონ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას წინსვლის უზრუნველსაყოფად.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, „რეგისტრაცია“, „სანქცირება“ და „შეზღუდვა“ განსხვავებულად არის განმარტებული ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში. საჭიროა სპეციალური განხილვა შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და საინფორმაციო სისტემის დანერგვის შემდგომ ეტაპებზე გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

გარდა საკანონმდებლო ბაზისა, ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შექმნა-შენარჩუნება თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფისა და მომზადებული პერსონალის არსებობას მოითხოვს. ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა შემუშავებულია და მისი დემოვერსია

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინეს. ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე შემდგომი ღონისძიებების დაფინანსების პოტენციურ წყაროებად გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს საკონსულტაციო დახმარების პროგრამა და გაეროს გარემოს დაცვის სპეციალური პროგრამა გვევლინება.

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის დემოვერსია



Rules and regulations



REACH Regulations (EU) No 907/2006 concerns the registration and restriction of chemical substances. It also contains requirements addressed to the users of chemicals.

Regulation (EC) No 1907/2006 of the European Parliament and of the Council concerning Registration, Evaluation, Authorisation and Restriction of Chemicals (REACH), establishing a European Chemical Agency [European Chemical Agency](#) last consolidated on 14 July 2016

Commission Regulation (EU) 2016/ 266 of 7 December 2015 amending Regulation (EC) No 440/2008 ([Test methods](#))

Commission Regulation (EU) 848/2012 of 19 September 2012 [amending Annex XVII](#)

Links to information on REACH on the ECHA web pages. The European Chemicals Agency (ECHA) assists companies in complying with the legislation, promotes the safe use of chemicals, provides information on chemicals, and addresses chemicals that are of concern. All the links below take you to ECHA

Databases

Restricted Substances Database

This database contains information on whether the restrictions placed on a substance or group of substances are in compliance with the provisions set out in Swedish Government regulations or are in compliance with those set out in the Swedish Chemicals Agency regulations.

[Go to the Restricted Substances Database.](#)

Classification and Labelling Register (including substances in Annex VI to CLP)

This database contains classification and labelling information on notified and registered substances received from manufacturers and importers. It also includes the list of harmonised classifications (Tables 3.1 and 3.2 of Annex VI to the CLP Regulation) and the names of harmonised substances translated into all EU languages.

[Go to ECHA's Classification and Labelling Inventory.](#)

Pesticides Register

The Pesticides Register contains information on more than 3,000 authorised and previously authorised pesticide products in Sweden. The register is only in Swedish, but you can easily find user classes, registration numbers, specific conditions and dates of validity and expiry. [Go to the Pesticides Register.](#)

The priority guide PRIO

A web-based tool intended for taking preventive action in reducing the risk posed by chemicals to human health and the environment.


[Go to PRIO](#)

Statistics in brief

Amount of chemical products hazardous to health per persons per annum



Breakdown between different groups of substances



Publications



Welcome to Chemicals Registry

User (Personal Id/E-Mail)

Password

Remember Me

Login

Register

Consulting & IT Innovations © 2017

CHEMICALS REGISTRY

- Administration
- Organizations
- Test11
- Chemicals
- Chemical Info
- Reports

Copyright CITI © 2017

superadmin - Super - Administrator Geo Eng Translation Mode

Filters ▾

Search: _____

	Status	User	Document ID	Action Type	Recipient Body
	Submit	v.ezugbaia@gmail.com - Vazha Ezugbaia	122	Permission	MoA
	None	v.ezugbaia@gmail.com - Vazha Ezugbaia	101	Notification	MoH
	Rejected	v.ezugbaia@gmail.com - Vazha Ezugbaia	111	Notification	MoE
	Accepted	v.ezugbaia@gmail.com - Vazha Ezugbaia	123	Registration	MoD

Show 10 entries Previous Next

Consulting & IT Innovations - Evoluton.ge

CHEMICALS REGISTRY

- Administration
- Organizations
- Test11
- Chemicals
- Reports
- Report Forms

superadmin - Super - Administrator Geo Eng Translation Mode

Document ID: 122

Action Type: Permission

Request Date: 05.03.2017

Recipient Body: MoA

Product Manufacturer

Manufacturer Name: testuser

Country: China

Company Tel: 00330000

Company Email: test@gmail.com

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (პროექტი)

კარი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 26, 2007, მუხ. 244) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:·

“მუხლი 24, ქიმიური უსაფრთხოება

1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა. ქიმიური ნივთიერება - ქიმიური ელემენტი და მისი ნარევი, რომელიც მიღებულია ბუნებრივი გზით ან სამრეწველო პროცესის შედეგად, ნებისმიერი დანამატის ჩათვლით, რომელიც საჭიროა მისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გამოყენებული პროცესის შედეგად მიღებული ნებისმიერი მინარევი, გარდა გამხსნელისა, რომლის გამოცალკვებაც არ ზემოქმედებს ნივთიერების სტაბილურობაზე ან არ ცვლის მის შემადგენლობას;

ბ. საგანი - ნებისმიერი ნივთი, რომელსაც წარმოების პროცესის შედეგად გააჩნია კონკრეტული ფორმა, ზედაპირი ან კონსტრუქცია, რაც უფრო მეტად განსაზღვრავს მის ფუნქციას, ვიდრე მისი ქიმიური შემადგენლობა;

გ. წარმოება - ქიმიური ნივთიერების დამზადება ან ექსტრაქცია ბუნებრივი გზით;

დ. მწარმოებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ტერიტორიაზე და აწარმოებს ქიმიურ ნივთიერებას საქართველოს ტერიტორიაზე;

ე. იმპორტი - ფიზიკურად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა;

ვ. იმპორტიორი - საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია იმპორტზე;

ზ. ბაზარზე განთავსება - მესამე მხარისათვის მიწოდება ან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საზღაურის სანაცვლოდ ან უსასყიდლოდ. იმპორტი განიხილება ბაზარზე განთავსებად;

თ. შემდგომი მომხმარებელი - საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მწარმოებლის ან იმპორტიორის გარდა, რომელიც იყენებს ქიმიურ ნივთიერებას დამოუკიდებლად ან ნაზავის შემადგენლობაში, მის მიერ განხორციელებული სამრეწველო ან პროფესიული საქმიანობის პროცესში. დისტრიბუტორი ან მომხმარებელი არ წარმოადგენს შემდგომ მომხმარებელს. რეიმპორტიორი განიხილება შემდგომ მომხმარებლად;

ი. გამოყენება - ნებისმიერი სახით გადამუშავება, პრეპარატის დამზადება, მოხმარება, შენახვა, შენარჩუნება, დამუშავება, კონტეინერში მოთავსება, ერთიდან მეორე კონტეინერში გადატანა, შეზავება, საგნის წარმოება ან ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება.

2. ქიმიური ნივთიერებების რეესტრი და ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია

ა. ქვეყნის ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას ქიმიური ნივთიერებების რეესტრი;

ბ. ქიმიური ნივთიერებების რეესტრი არის ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო ეროვნული სისტემა, რომელიც ემსახურებს შემდეგ მიზნებს:

- ადამიანებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და გარემოსთან მიმართებით არსებული რისკების იდენტიფიცირებით, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ქიმიური ნივთიერებების იმპორტს, წარმოებასა და გამოყენებას;

- ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციისა და რეკომენდაციების უზრუნველყოფა;

- საჭიროებისამებრ, საქართველოს მიერ ქიმიური ნივთიერებების რეგულირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება;

- ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება, რადგან სისტემის მოდელი ითვალისწინებს ქიმიური ნივთიერებების იმპორტიორებისა და მწარმოებლებისაგან ამ ნივთიერებების ქიმიური ზემოქმედების საკითხსა და თვისებებზე ინფორმაციის მოპოვებას.

გ. ქიმიური ნივთიერებების რეესტრს ექნება მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახე;

დ. მწარმოებლებს, იმპორტიორებსა და შემდგომ მომხმარებლებს გააჩნიათ ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება;

ე. ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, იკრძალება საქართველოში შემდეგი ქიმიური ნივთიერებების დამოუკიდებლად, ნაერთების ან პროდუქციის შემადგენლობაში წარმოება ან ბაზარზე განთავსება:

(i) ბიოციდები - 2018 წლის 1 ივლისიდან;

(ii) საშიში ქიმიური ნივთიერებები - 2018 წლის 1 ივლისიდან (ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის, საშიშ ქიმიურ ნივთიერებებად განიხილება „ქიმიური ნივთიერებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის (EC) No 1272/2008 რეგულაციის VI დანართში მოცემული 3.1 ცხრილით გათვალისწინებული ნივთიერებების ჩამონათვალი/ჰარმონიზებულ კლასიფიკაციასა და ეტიკეტირებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების სია);

(iii) სამრეწველო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებები - 2020 წლის 1 ივლისიდან.

ვ. ქიმიური ნივთიერებების რეესტრში ეტაპობრივად მოხდება მონაცემებისა და ინფორმაციის ინტეგრირება შემდეგი ქიმიური ნივთიერებების შესახებ:

(iv) პესტიციდები და აგროქიმიკატები - 2022 წლის 1 იანვრიდან;

(v) საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ნარჩენები - 2023 წლის 1 იანვრიდან;

(vi) რადიაციული ნივთიერებები და ნარჩენები - 2023 წლის 1 იანვრიდან;

(vii) სურსათი და საკვები პროდუქტები - 2024 წლის 1 იანვრიდან;

(viii) ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი და ვეტერინარული გამოყენების ფარმაცევტული პროდუქცია;

(ix) კოსმეტიკური ნაწარმი - 2025 წლის 1 იანვრიდან;

(x) სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქცია - 2026 წლის 1 იანვრიდან.

8. ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

თ. ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დეტალები, როგორცაა სტრუქტურა, ნოტიფიცირება, სარეგისტრაციო წესები და პროცედურები, ქიმიური ნივთიერებების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული ნივთიერებების ამომწურავი სია (რაოდენობრივი აღწერილობის ჩათვლით), განსაზღვრული იქნება ქიმიური ნივთიერებების რეესტრის მარეგულირებელ ტექნიკურ რეგულაციებში. რეგულაციას დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისს წარდგენილი წინადადების საფუძველზე.

i. „ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შესახებ“ ტექნიკური რეგულაციის გარდა, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნება:

(i) არაუგვიანეს 2018 წლის დასასრულისა, ტექნიკური რეგულაცია „ბიოციდების შესახებ“, რომელიც, საჭიროებისამებრ, დაექვემდებარება ჰარმონიზაციას „ბიოციდური პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 22 მაისის (EC) No 528/2012 რეგულაციით გათვალისწინებულ ნორმებთან;

(ii) არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა, ტექნიკური რეგულაცია „ქიმიური ნივთიერებებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“, რომელიც, საჭიროებისამებრ, დაექვემდებარება ჰარმონიზაციას „ქიმიური ნივთიერებებისა და ნაზავების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის (EC) No 1272/2008 რეგულაციით გათვალისწინებულ ნორმებთან.

3. ქიმიური უსაფრთხოებისა და მართვისათვის ჩარხო კანონმდებლობა

ა. ქიმიური უსაფრთხოებისა და მართვისათვის ჩარხო კანონმდებლობის შემუშავების მიზნებისათვის, საქართველოს მთავრობა მოამზადებს და, არაუგვიანეს 2022 წლის 1 იანვრისა, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ საქართველოს ჩარხო კანონმდებლობის პროექტს;

ბ. „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ ჩარხო კანონმდებლობის პროექტი მომზადდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი წინადადების საფუძველზე.

4. **ჯარიმები კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის** - საქართველოს მთავრობა მოამზადებს და, არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ამ მუხლის დებულებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმების თაობაზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს, და მიმართავს ყველა ღონისძიებას მათი პრაქტიკული აღსრულების უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის.“

კარი 2. 1-ელი კარში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი - /ხელმოწერა/
/თარიღი/*

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ქიმიური პროფილი (2009). საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. http://csrdg.ge/upload/editor/file/qim-profil/Georgia%20chemicals%20profile_eng-bolo.pdf

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის პროექტი (2015). საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. 2015 წლის ოქტომბერი. http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/gancxadebebi/2015/narchenebis_proeqti/The_Draft_Waste_Management_Strategy.pdf

აკრედიტაციის ცენტრი (2010). აკრედიტაციის ცენტრის დებულება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის ბრძანება N 1-1/330 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ [ქართულ ენაზე]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1009193>

აკრედიტაციის ცენტრი (2013). საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა „ლაბორატორიებისა და ინსპექტირების ორგანოების საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით“ PL - 03 გადახედვა: 1 თარიღი: 24.12.2013. [http://gac.gov.ge/files/GAC%20Policies/PL3_GAC_Policy_on_PT_amended_2013_09_12_\(3\).pdf](http://gac.gov.ge/files/GAC%20Policies/PL3_GAC_Policy_on_PT_amended_2013_09_12_(3).pdf)

საქართველოს მთავრობა (2014). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“/დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილებით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2373855&lang=en
<http://www.adb.org/sites/default/files/linked-documents/cps-geo-2014-2018-sd-01.pdf>

ანგარიში საშიში ქიმიური ნივთიერებების ინვენტარიზაციის შესახებ (2013). ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო სექტორებში საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და მათი ალტერნატივების გამოყენებასთან დაკავშირებული ვითარების ანალიზი - საქართველო, ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომა (SAICM)/საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო - RCDA და ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის ასოციაცია SEMA, WECF -თან - ევროპის ქალები ერთიანი მომავლისათვის - თანამშრომლობის გზით. http://www.wecf.eu/download/2013/February/saicm_inventory_report.pdf

ინსტრუქცია „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ (2012). საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება #179 „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 31.07.2012]/ ცვლილებები შეტანილია 64 ბრძანების საფუძველზე/ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის #285 ბრძანებით [ქართული ვერსია]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1709684>

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2012). საერთაშორისო სავალუტო ფონდის - IMF ანგარიში #12/58 - საქართველო: Report on Observance of Standards and Codes - Data Module. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2012/cr1258.pdf>

KMPG - ეთერზეთები (2015). ეთერზეთები- ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი. http://www.investingorgia.org/en/ajax/downloadFile/638/Chemical_Sector_Research_-_Essential_Oils

KMPG - სამრეწველო აირები (2015). სამრეწველო აირები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/639/Chemical_Sector_Research_-_Industrial_Gases

KMPG - საპოხი საშუალებები (2015). საპოხი საშუალებები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/640/Chemical_Sector_Research_-_Lubricating_Preparations

KMPG - მინერალური სასუქები და ამოტოვანი ნაერთები (2015). მინერალური სასუქები და ამოტოვანი ნაერთები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/647/Chemical_Sector_Research_-_Mineral_Fertilizer_and_Nitrogen_Compounds

KMPG - საღებავები, ლაქები და სხვა ლაქ-საღებავები (2015). საღებავები, ლაქები და სხვა ლაქ-საღებავები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/658/Chemical_Sector_Research_-_PaintsVarnish_and_Other_Coatings

KMPG - პარფიუმერია და კოსმეტიკა (2015). პარფიუმერია და კოსმეტიკა - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/644/Chemical_Sector_Research_-_Perfumery_and_Cosmetics

KMPG - პიგმენტები და სხვა საღებავები (2015). პიგმენტები და სხვა საღებავები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/642/Chemical_Sector_Research_-_Pigments_and_other_Coloring_Matter

KMPG - გასაპრიალებელი საშუალებები (2015). გასაპრიალებელი საშუალებები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/645/Chemical_Sector_Research_-_Polishing_Materials

KMPG - საპნები (2015). საპნები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/643/Chemical_Sector_Research_-_Soap

KMPG - სარეცხი და სანმენდი საშუალებები (2015). სარეცხი და სანმენდი საშუალებები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/646/Chemical_Sector_Research_-_Washing_and_Cleaning_Preparations

KMPG- აგროქიმიური პროდუქცია (2015). აგროქიმიური პროდუქცია - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.
http://www.investinggeorgia.org/en/ajax/downloadFile/637/Chemical_Sector_Research_-_Agrochemical_products

KMPG- ჰიდროკარბონები, ოქსიმჟავები და არომატიზატორები (2015). ჰიდროკარბონები, ოქსიმჟავები და არომატიზატორები - ქიმიური სექტორის კვლევა. საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტოს დაკვეთით. 2015 წლის აპრილი.

http://www.investingorgia.org/en/ajax/downloadFile/663/Chemical_Sector_Research_-_Hydrocarbons_Alcohols_Acids_and_Aromatics

კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005) / საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი #1775 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, #40, 18.07.2005) / 30.06.2015-ით დათარიღებული კონსოლიდირებული ვერსია / ცვლილებები შეტანილია 60 კანონით „ცვლილების შეტანის თაობაზე“ / ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს 12.06.2015 -ის #3704 კანონით - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 30.06.2015 <https://matsne.gov.ge/en/document/view/26824>

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ (2009) / საქართველოს 2009 წლის 11 დეკემბრის კანონი #2291 / საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 2015 წლის დეკემბრის კონსოლიდირებული ინგლისური ვერსია. <https://matsne.gov.ge/en/document/view/90946>

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ (2014) / საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი # 2467 / საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 2015 წლის დეკემბრის კონსოლიდირებული ინგლისური ვერსია.

<https://matsne.gov.ge/en/document/view/2363013>

საქართველოს შრომის კოდექსი (2010) / საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის ორგანული კანონი #4113-ES - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 27.12.2012 / 27.09.2013-ის კონსოლიდირებული ვერსია / ცვლილებები შეტანილია „ცვლილების შეტანის თაობაზე“ 5 კანონით /ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს 2015 წლის 27 სექტემბრის კანონით - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 09.10.2013 - კონსოლიდირებული ინგლისური ვერსია <https://matsne.gov.ge/en/document/view/1155567>

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, დროითი მწკრივების მონაცემების წყაროები (2015)/ 1990-2012 წლების ინდიკატორების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი A-2: ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ურბანულ ტერიტორიებზე / 1990-2013 წლების ინდიკატორების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი A-1: დამაბინძურებლების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში / 1990-2012 წლების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი C-10. ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება და ამონიუმის კონცენტრაცია მდინარეებში /1990-2013 წლების ინდიკატორების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი A-3: ოზონის დამშლელი ნივთიერებების მოხმარება (ნივთიერებების ტონების მიხედვით გაანგარიშებული დონეები) /1990-2013 წლების ინდიკატორების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი F-2. სასუქების მოხმარება / 1990-2012 წლების ინდიკატორების დროითი მწკრივების მონაცემები, ცხრილი C-11ა მკვებავი ნივთიერებები მტკნარ წყლებში - მდინარეებში / (საქართველო). <http://moe.gov.ge>

დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ საქართველოს ეროვნული რეესტრი (2010-2012) / შესაძლებლობების გაძლიერება დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ რეესტრის შესაქმნელად და საქართველოში ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის დანერგვის მხარდასაჭერად / დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ საქართველოს ეროვნული რეესტრის ვებგვერდი.

<http://www.prtr-georgia.org/index.php/en/>

საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა (2014). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/agriculture/Environment_2014.pdf

NEAP-2 (2012). 2012 –2016 წლების საქართველოს გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმა. მიღებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #127 განკარგულების საფუძველზე.
http://www.preventionweb.net/files/28719_neap2.eng.pdf

NORMLEX (2015). შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ საინფორმაციო სისტემა/უახლესი კონვენციები საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის – 2015 წლის დეკემბერი.
http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11210:0::NO:11210:P11210_COUNTRY_ID:102639

მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (2011). საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის განკარგულება #907 მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ 2011-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.
www.pops.int/documents/implementation/nips

საქართველოში მინამატას კონვენციის რატიფიკაციისათვის მომზადება (2015). Ordinance of the საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის განკარგულება #688 „გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის – „ქვეყანაში გადანაცვლების მიღების პროცესის გაძლიერება „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად“ მოწონების თაობაზე“ / (ქართულ ენაზე)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2813192>

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (2012) /საქართველოს 2012 წლის 29 დეკემბრის კანონი #114 – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 27.12.2012 /29.04.2015-ის კონსოლიდირებული ვერსია/ცვლილებები შეტანილია „ცვლილების შეტანის თაობაზე“ 11 კანონით/ ბოლო ცვლილება შეტანილია 2015 წლის 11 ნოემბრის საქართველოს კანონით #4492-Is - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 24.11.2015 [ინგლისური ვერსია]
<https://matsne.gov.ge/en/document/view/1659419>

საბოლოო წინადადება დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის შესახებ (2012)/ შესაძლებლობების გაძლიერება დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ რეესტრის შესაქმნელად და საქართველოში ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის დანერგვის მხარდასაჭერად / დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ საქართველოს ეროვნული რეესტრის ვებგვერდი. <http://www.prtr-georgia.org/index.php/en/>

დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის შესახებ დაინტერესებული მხარეების ანალიზის ამსახველი ანგარიში (2010) / შესაძლებლობების გაძლიერება დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ რეესტრის შესაქმნელად და საქართველოში ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის დანერგვის მხარდასაჭერად / დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის შესახებ საქართველოს ეროვნული რეესტრის ვებგვერდი. <http://www.prtr-georgia.org/index.php/en/>

წესები შემლუდულად ბრუნვადი მასალების შესახებ (2006). საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილება „შემლუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შემლუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, სსმ. 135, 03/10/2006) /ცვლილებები შეტანილია „ცვლილების შეტანის თაობაზე“ 18 კანონის საფუძველზე / ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს მთავრობის 03.08.2015-ის #403 დადგენილებით [ქართული ვერსია]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12430>

ტექნიკური რეგულაციები თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების შესახებ (2013) / საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #413 დადგენილება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ [ქართული ვერსია]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188511>

ანგარიში საქართველოში გარემოს მდგომარეობის შესახებ (2011). დამტკიცებულია „საქართველოში გარემოს მდგომარეობის შესახებ 2007-2009 წლების ეროვნული ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 9 დეკემბრის # 54 ბრძანებით.

http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/eng_erovnuli_mokhseneba_2009.pdf

საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული (2014). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2014.pdf

UN ECE (2010). Environmental Performance Review of Georgia (Second Review).

ECE/CEP/157. United Nations.

http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/epr/epr_studies/Georgia%20II.pdf

UN ECE (2016). Environmental Performance Review of Georgia (Third Review) / ECE-CEP-177 UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE / Environmental Performance Reviews Series No. 43/UNITED NATIONS New York and Geneva, 2016

https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/epr/epr_studies/ECE_CEP_177.pdf

ნარჩენების მართვის კოდექსი (2014) / საქართველოს 2014 წლის 26 დეკემბრის კანონი No 2994-RS - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 12.01.2015 / 19.02.2015 -ის კონსოლიდირებული ვერსია/ ცვლილებები შეტანილია „ცვლილების შეტანის თაობაზე“ 1 კანონით / ცვლილება შეტანილია საქართველოს 2015 წლის 19 თებერვლის კანონით N 3098-III - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, 27.02.2015 *[ინგლისური ვერსია]*

<https://matsne.gov.ge/en/document/view/2676416>

ვებგვერდები:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (2015). ოფიციალური ვებგვერდი / საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან არსებული ქიმიური ნივთიერებების კვლევითი ინსტიტუტები: ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი; ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი; მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტი. <http://www.agruni.edu.ge/en>

კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი (2009). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.tsu.ge/en/research/institutes_centers <http://www.caumineral.org.ge/eng/index.php>

ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი (2015). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.tsu.ge/en/research/institutes_centers

ბიოფიზიკის ინსტიტუტი (2015). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: <http://iliauni.edu.ge/en/iliauni/institutebi-451/biofizikis-instituti-902>

სამედიცინო პოლიმერების კვლევითი ინსტიტუტი (2015). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.tsu.ge/en/research/institutes_centers

პროფესიული მედიცინისა და ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი (2013). ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.profesiulimedicina.ge>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (2015). ოფიციალური ვებგვერდი / საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ქიმიური ნივთიერებების კვლევითი ინსტიტუტები: კვების მრეწველობის ინსტიტუტი; საქართველოს წყლის მართვის ინსტიტუტი; ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი; სანარმოლო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. <http://gtu.ge/Eng/Research-And-Development/Scientific-Research-Institutes/>

სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტი (2013). ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.hygiene.ge/index.php?page=370&lang=eng>